ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



## მალხაზ მაჩალიკაშვილი სუსში გამოჰკითხეს

გვ.7

„ჩემი სიტყვები იყო გამწარებული, შვილმოკლული მამის სიტყვები“

ოთხშაბათი, 15 აგვისტო, 2018 | №192 (7737) | ფასი: 60 თეთრი

# ბანკირებისა და ბიზნესმენების ნაწილი ივანიშვილის დამხობას აპირებს?





გვ.3

ზაალ კასრელიშვილი: „ამ ხალხმა ჯერ გამსახურდია ჩამოაგდო, მერე – შევარდნაძე“

## „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მომავალ წლამდე არ გვეყოლება“

გვ.2



## „სოსო ოსორაული ცოცხალია და მას შველა სჭირდება“



გვ.2

კონგოში დატყვევებული ქართველი მფრინავის ძმა შველას ითხოვს



## ბიძინა გუჯაბიძე: „გონიერი ადამიანი სააკაშვილის გვერდით არ იდგებოდა“

გვ.4



### სამართალი

გვ.7



„დავით გოგნაძე თორნიკე ბერძენიშვილთან დავის მოსაგვარებლად თურქეთში მყოფ კანონიერ ქურდ თენგიზ ხოფერიას დაუკავშირდა“



**ერისიონის მომღერალი მეოთხე სართულიდან ჩამოვარდა და დაიღუპა**

28 წლის ახალგაზრდას თოკი გაუწყდა

**წალენჯიხაში მამაკაცი ტრაქტორის ქვეშ მოყვა და დაიღუპა**





**4-ოთახიანი ბინა 5.000 დოლარად**

თანხის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

### ეკონომიკა

გვ.6



„ლარის კურსის ვარდნა მოლოდინების შედეგია“ — რა კავშირი აქვს ლირის გაუფასურებას ლარის კურსთან



რომან გოცირიძე: „ლარს მთავრობა და ეროვნული ბანკი აუფასურებდნენ და ეს ცოდვა ახლაც მათ კისერზეა“



ირაკლი ლექვინაძე: „მთავრობის პრიორიტეტია, ხე-ტყის ნედლეულის მოპოვება და რეალიზაცია კანონით დარეგულირდეს“

ISSN 1987-9385

**2** ირაკლი კობახიძე: „საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატი არ გვეყოლება“

**5** 9 ადამიანს ქონება იძულების წესით ჩამოერთმევა

**5** რატომ მოითხოვენ რუსი მებაჟეების მოხსნას საქართველოში მომავალი რუსები?

**5** აფბა: „ნავთობიმპორტიორები ლარის გაუფასურებით სპეკულირებენ და საწვავზე ფასებს ზრდიან“

ნათია ხურცილავა

# „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მომავალ წლამდე არ გვეყოლება“

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცესზე საუბრობს.**




***— ბატონო ლევან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევის საკითხზე საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტს აღარ შეხვდება. რა გზავნილი შეიძლება იყოს ეს, ვინც არ უნდა შეარჩიოს პრეზიდენტმა, ისინი მაინც მხარს არ დაუჭერენ?***

— საპარლამენტო უმრავლესობას ბოლო ხანს უცნაური ნერვიულობები დასჩემდა. მე ვფიქრობ, რომ ეს ბიძინა ივანიშვილის პარტიაში დაბრუნებას უკავშირდება. „ქართული ოცნება“ სულ ცოტა ხნის წინ, მთავარი პროკურორის შერჩევის დროს, საერთოდ არ ფიქრობდა კონსტიტუციაზე, მით უფრო ახალ მოდელზე, რომელიც შემოდგომაზე უნდა ამოქმედდეს. იჩქარეს, საზოგადოებისგან გამიჯნულად, ერთპარტიულად დანიშნეს მთავარი პროკურორი. თუმცა, კონსტიტუციის ახალი მოდელით, მთავარი პროკურორის გამწესების სულ სხვა წესია. ამ შემთხვევაში „ქართულმა ოცნებამ“ წააუყრუა, რადგან ეს მის პარტიულ ინტერესში შედიოდა.

დღეს, როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან დაკავშირებით საკუთარი პოლიტიკური ზრახვების შეფუთვას ცდილობენ, ისინი ამბობენ, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედებას უნდა დაველოდოთ. ახალი რედაქციით, პრეზიდენტის პრეროგატივა უკვე აღარ არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევა და წარდგენა პარლამენტისთვის, აქ უკვე საქმეში იუსტიციის უმაღლესი საბჭო ერთვება. ასე რომ, ეს ორმაგი სტანდარტი სრულიად გასაგები ხდება. გასაგებია, თუ რატომ ახსენდებათ ერთ შემთხვევაში ასამოქმედებელი კონსტიტუცია და მეორე შემთხვევაში – არა.

ეს ყველაფერი მიანიშნებს იმისკენ, რომ „ქართულ ოცნებას“ აქვს მცდელობა, მართლმსაჯულების სისტემის პირველ პირად გაამწესოს პარტიული ან პარტიისადმი ლოიალურად განწყობილი პირი. ცუდი ის არის, რომ ამით სახელმწიფო დაზიანდება.

***— გამოდის, ეს პროცესი ნოემბრამდე, კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედებამდე გადაიწევს?***

— ნოემბრამდე კი არა, შეიძლება ლამის გაზაფხულამდე გადაიწიოს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ ტყუილის აბლაბუდაში ისე გახვია, ბოლომდე სიმართლეს არ ამბობს. მე გეტყვით სიმართლეს: კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, იცით, რა წერია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით?! იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან შეარჩევს კანდიდატს. ეს სრულიად უწყინარი ჩანაწერია, მაგრამ იმავე კონსტიტუციაში წერია, რომ უზენაეს სასამართლოში მინიმუმ 28 წევრია და ამ 28 წევრიდან უნდა მოხდეს შერჩევა, დღეს კი მხოლოდ 12 მოსამართლეა. რომ შევაჯამოთ ეს ყველაფერი, გამოდის, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა გამოაცხადოს კონკურსი, შემოსავლიანი შემოდგომა ელოდებათ, კიდევ 16 მოსამართლე უნდა დაასაქმონ და შემდეგ 28-მდე რომ შეივსება, მერე უნდა მოხდეს იუსტიციის საბჭოს მიერ კანდიდატის შერჩევა და ის პარლამენტმა დაამტკიცოს.

პროცედურულად წარმოგიდგენიათ, ეს რა ვადებს მოითხოვს?! 16 მოსამართლეა შესარჩევი, განსახილველი, შემდეგ პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს ყველა ეს მოსამართლე. შემდეგ უკვე ის ერთი იქნება შესარჩევი. მინიმუმ მთელი საგაზაფხულო სესია დასჭირდება ამ პროცედურებს. ეს კი ნიშნავს, რომ მომავალი წლის ივნისამდე საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე არ ჰყავდეს – ამას გვეუბნება „ქართული ოცნება“. გასაგებია, როგორი სახელმწიფოებრივი მიდგომაა!

***— ვიცესპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, პრეზიდენტმა კანდიდატურა წარმოადგინოს და ჩვენ გადაწყვეტილებას კანდიდატურიდან გამომდინარე მივიღებთო.***

— ეს სწორი პოზიციაა. სანამ კანდიდატი არ დასახელდება, მანამდე „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრის წინასწარი განწყობები, რომ არ მიიღებენ მონაწილეობას, რომ არ აინტერესებთ ეს პროცესი, უკვე არის პოლიტიკის ნაწილი, ვინაიდან კანდიდატი არ დასახელებულა და რატომ აფიქსირებენ თავიანთ განწყობებს. აპრიორი იმის თქმა, რომ პრეზიდენტის კანდიდატურას მხარს არ დავუჭერ, სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური განაცხადი. ასე ხომ საკუთარი თავის ლუსტრირებას ახდენენ, რომ მხოლოდ ვიწროპარტიული ინტერესები ამოძრავებთ. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ამ ნაწილშიც ჩინჩალაძე-მურუსიძე მართავენ საპარლამენტო უმრავლესობას.

***— კონკრეტულად ვის?***

— ვინც აპრიორი ამ განცხადებას აკეთებს. თუმცა, პარტიის ხელმძღვანელობაზე ვერ ვიტყვი, მაგალითად, მამუკა ბახტაძემ მოზომილი განცხადება გააკეთა. სწორი განცხადება გააკეთა ასევე თამარ ჩუგოშვილმა. დანარჩენების განცხადებები ცნობილია. გასაგებია, რომ მოქმედი კონსტიტუციითაც და ასამოქმედებელი კონსტიტუციითაც გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს, მაგრამ ახლა ეს პროცესი პრეზიდენტის წასაყვანია.

დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ძალიან ბევრი რამე დამოკიდებული იქნება პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ კანდიდატზე.

***— პოლიტიკური პროცესია?***

— გიორგი მარგველაშვილთან ხუთი წელია, „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ბრძოლაშია. ცუდი ის არის, რომ ამ ბრძოლაში სახელმწიფოს ინტერესები ზარალდება, თორემ ესეც გაივლის. „ქართული ოცნებაც“ მილევად რეჟიმშია, ხელისუფლებაში დიდხანს ველარ დარჩებიან. საქართველოში ორ საპარლამენტო ვადაზე მეტხანს არცერთი ხელისუფლება არ დარჩენილა. ამაში თვითონვე არიან დარწმუნებული, თუ ასე არ არის, დააყენონ პრეზიდენტობის კანდიდატი, რა უშლით ხელს.

# ირაკლი კობახიძე: „საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატი არ გვეყოლება“



— გადაწყვეტილება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ კანდიდატი არ ეყოლება, არ შეიცვლება.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, „ქართული ოცნების“ მხრიდან არასწორი იქნებოდა პარტიული ლიდერის წარდგენა საპრეზიდენტო კანდიდატად.

— პარტიის თავმჯდომარის მხრიდან დასახელებული იყო სხვადასხვა არგუმენტი. მათ შორის საუბარი იყო იმაზე, თუ რა ფუნქციები აქვს პრეზიდენტს. პრეზიდენტის უფლებამოსილებები უნდა იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი, როდესაც შეირჩევა პრეზიდენტობის კანდიდატი. ჩვენ უნდა შევეჩვიოთ, რომ არის საპარლამენტო სისტემა და საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს აქვს თავისი შემოფარგლული ფუნქციები. ის არ არის აღმასრულებელი.

საპრეზიდენტო არჩევნებში ჩვენი პარტიული კანდიდატი რომ დაგვეყენებინა, უნდა ყოფილიყო პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და ამით ამ ილუზიას ბუნებრივია, უფრო მეტად გავაძლიერებდით. ეს იყო არგუმენტი. ჩვენი მხრიდან არასწორი იქნებოდა პარტიული კანდიდატის დაყენება, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, „ქართულ ოცნებაში“ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში პარტია თავისი კანდიდატით არ მიიღებს მონაწილეობას, რათა არ გაძლიერდეს ილუზია, რომელსაც ხელოვნურად აყალიბებდნენ პრეზიდენტის კომპეტენციასთან დაკავშირებით.

— პარტიის თავმჯდომარის პოზიცია იყო, რომ პარტიას არ უნდა ჰყავდეს თავისი კანდიდატი, ანუ პარტია თავისი კანდიდატით არ უნდა წარმდგარიყო არჩევნებში. ერთ-ერთი არგუმენტი იყო სწორედ ეს. ჩვენ არ უნდა გავაძლიეროთ ილუზია. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი გახდებოდა ჩვენი პარტიული ლიდერი, კიდევ უფრო გაძლიერდებოდა ილუზია პრეზიდენტის ჭარბ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. ჩვენ მოვისმინეთ კონტრარგუმენტები, თუმცა არგუმენტი, რომელიც წარმოადგინა პარტიის თავმჯდომარემ, არის ძალიან ძლიერი. მეც ვფიქრობ, რომ არასწორი იქნება, თუ პარტია წარადგენს თავის კანდიდატს. შესაბამისად, ჩვენი გადაწყვეტილება, რომ ჩვენი კანდიდატის გარეშე ჩავერთოთ საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიაში, ვფიქრობ, რომ არის სწორი, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

**თაიმერი**

# „სოსო ოსორაული ცოცხალია და მას შველა სჭირდება“

## კონგოში დატყვევებული ქართველი მფრინავის ძმა შველას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

**კონგოში დატყვევებული ქართველი მფრინავი, სოსო ოსორაული, ღვთის ანაბარაა მიტოვებული. ხელისუფლებას მისი ბედი საერთოდ არ აინტერესებს. არც არასამთავრობოები იკლავენ თავს მისი ამბის გარკვევით.**

სოსო ოსორაულის ოჯახმა და მეგობრებმა ყურადღების მისაპყრობად რამდენიმე აქცია გამართეს, მაგრამ ამაოდ – საქართველოს ხელისუფლებას საქართველოს მოქალაქის ბედი არ აინტერესებს.

მისმა ძმამ, გიო ოსორაულმა, გუშინ, 14 აგვისტოს, კიდევ ერთხელ ცადა საზოგადოებისა და ხალხის ყურადღების მიქცევა. ადამიანის უფლებათა ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ მისი ძმა ცოცხალია და შველა სჭირდება.

გიო ოსორაულის თქმით, ბოლო პერიოდში ის იმყოფებოდა რამდენიმე ქვეყანაში, ჰყავს არაერთი წყარო, აქვს განახლებული ინფორმაცია და მტკიცებულებები, რომ მისი ძმა ცოცხალია, თუმცა კონკრეტიკისგან თავს იკავებს. მისივე ინფორმაციით, იოსებ ოსორაულთან ერთად ტყვეობაში არიან ერთი ბელგიელი და ერთი რუმინელი.

კონგოში დატყვევებული მფრინავის ოჯახი და ადვოკატი სახელმწიფოს გულგრილობაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან სათანადო ნაბიჯები არ იდგმება.

— ხმამაღლა ლაპარაკობს სახელმწიფო, რომ ოჯახთან აქვს კომუნიკაცია და კონტაქტი. ერთი წელია, არანაირი ყურადღება არ მოუქცევია, – აღნიშნა გიო ოსორაულმა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, რომელიც ოსორაულის ოჯახს იურიდიულ დახმარებას უწევს, საგარეო საქმეთა სამინისტრომ მის ხელთ არსებული მასალები გამოსაძიებლად საქართველოს მთავარ პროკურატურას გადასცა.

მთავარ პროკურატურას, თავის მხრივ, რამდენჯერმე მიმართეს განცხადებით, რათა ოსორაულის ოჯახს მინიჭებოდა დაზარალებულის სტატუსი. „ადამიანის უფლებათა ცენტრი“



მოითხოვს: საქართველოს მთავრობამ გადადგას კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები საკუთარი მოქალაქის დასაცავად; პრემიერ-მინისტრის მეთვალყურეობის ქვეშ შეიქმნას სპეციალური ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, საგარეო საქმეთა სამინისტროს, უსაფრთხოების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებისა და გაუჩინარებული მფრინავის ძმის, გია ოსორაულის მონაწილეობით; საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყოს, რომ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდეს ეფექტიანად, სრულყოფილად და დროულად ცნოს დაზარალებულად სოსო ოსორაულის ოჯახის წარმომადგენლები – ნინო ოსორაული და გია ოსორაული.

* * *

პოლკოვნიკი სოსო ოსორაული შერეული საავიაციო ესკადრილიის ყოფილი მეთაურია. 2010 წელს, სამხედრო-საჰაერო ძალების გაუქმების შემდეგ, მან შეიარაღებული ძალები დატოვა და სამუშაოდ კონგოში წავიდა.

ის აქტიურად მონაწილეობდა აგვისტოს ომში და ცხინვალის მიმართულებით ბოლო საბრძოლო გაფრენა მან შეასრულა. მან კონფლიქტის ზონიდან ათობით ქართველი სამხედრო გამოიყვანა.

ოსორაული კონგოელმა ამბოხებულებმა გასული წლის იანვარში ჩაიგდეს ტყვედ. ამ დროის განმავლობაში ხელისუფლებას მის გამოსახსნელად, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბანკირებისა და ბიზნესმენების ნაწილი ივანიშვილის დამხობას აპირებს?

## ზაალ კასრელიშვილი: „ამ ხალხმა ჯერ გამსახურდია ჩამოაგდო, მერე – შევარდნაძე“

შორენა მარსაგიშვილი

**რა ჩაიფიქრეს ბანკებმა, რას გეგმავენ ხელისუფლებიდან გაგდებული მაღალჩინოსნები, რა უნიკალური შანსი მიეცა საქართველოს? – ამის შესახებ „ახალი თაობას" ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

***– თქვენ წინა ინტერვიუში გვითხარით, რომ ბანკირები და ხელისუფლებიდან გაყრილი ჩინოსნები ივანიშვილის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას აპირებდნენ. არის თუ არა თქვენ მიერ ნახსენებ შეთქმულებასთან რამე კავშირში ლარის გაუფასურება?***

– ვამბობდით და კიდევ გავიმეორებთ, რომ არც ბანკირები, არც მათთან და ხელისუფლებიდან გაყრილ ჩინოსნებთან დაკავშირებული ბიზნესმენები არ გაჩერდებიან. არ გაჩერდებიან ყოფილი მაღალჩინოსნები. ისინი ასე მარტივად არ გადაყლაპავენ თავიანთი პოზიციების გაუარესებას.

პირდაპირ ივანიშვილს არ დაარტყამენ, მაგრამ არაპირდაპირ შეთქმულებას მოაწყობენ. ეს მათ უკვე რამდენჯერმე გამოუვიდათ.

***– რას გულისხმობთ?***

– ამ ბიზნესმენებმა, რომლებიც ადრე წითელი დირექტორების სახელით იყვნენ ცნობილი, რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა დააფინანსეს.

მეორედ ასე ვარდების რევოლუციის დროს მოიქცნენ. ვინმეს თუ აღარ ახსოვს, შევახსენებ, რომ ვარდების რევოლუცია იმ ხალხმა დააფინანსა, ვინც ედუარდ შევარდნაძის გვერდით იდგა.

ასე რომ, ესენი არ მოისვენებენ. რანაირად და როგორ იმოქმედებენ, არც ამის გათვლა არ არის ძნელი.

***– თქვენ იცით, როგორ იმოქმედებენ?***

– ამის გამოცნობა ძნელი არ არის. ალბათ პოლიტიკურ პარტიებში ჩადებენ ინვესტიციებს. პროცესებს საგულდაგულოდ ვადევნებ თვალს და ნაწილს ეს საქმე უკვე დაწყებული აქვს.

***– ვინ და სად ჩადო ფული?***

– ამას ვერ გეტყვით. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ჩვენ გვარების დასახელებას ვერიდებით.

ახლა ლარის გაუფასურების მიზეზებზეც მოგახსენებთ – საქართველოში ცბიერებასა და სივერაგეში გამობრძმედილი ფინანსისტები და ბანკირები არიან. თურქეთსა და რუსეთში მიმდინარე პროცესები რომ არ გამოეყენებინათ სათავისოდ, გამორიცხულია.

***– მათი სივერაგის ბრალია ეროვნული ვალუტის გაუფასურება?***

– ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ მათ ითამაშეს, მაგრამ ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესები სათავისოდ გამოიყენეს.

***– სანამ ისინი სათავისოდ იყენებენ ამ პროცესებს, რას აკეთებს ხელისუფლება?***

– რას აკეთებს, ვერ გეტყვით. ის შემიძლია გითხრათ, რომ ხელისუფლება ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. ეს გამოწვევები მომავალშიც არ მოაკლდებათ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსეთში, თურქეთსა და ირანში ინფლაცია გაგრძელდება. ინფლაცია დაწყებულია ჩინეთშიც.

ჩვენდა საუბედუროდ, ეს ოთხივე ქვეყანა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია. გვინდა თუ არა, ინფლაციას ვერც ჩვენ გადავურჩებით.

***– მესმის, რომ ლარის გაუფასურება გარე ფაქტორების ბრალიცაა, მაგრამ ის რატომ არ მოქმედებს საქართველოზე, როცა ჩვენს სამეზობლოში საწვავზე ფასები რეკორდულად ეცემა?***

– ეს სულ სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს არის სალაპარაკო. რადგან მკითხეთ, ახლაც გიპასუხებთ – ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკეთესი იქნება,



თუ საქართველოში ოპერატორად რომელიმე ცნობილი ბრენდი შემოვა. ის ნავთობპროდუქტების ბაზარზე თამაშის სწორ წესებს შემოიტანს.

***– უკვე არსებულ ოპერატორებს რას უშვრებით?***

– არაფერს. ისინი ჯანმრთელ კონკურენციაში ან გაკოტრდებიან, ან იძულებული გახდებიან, ფასები დასწიონ.

ჩვენი აზრით, დასავლეთი თურქეთთან, ირანთან და რუსეთთან საერთო ენას ახლო მომავალში ვერ გამონახავს.

**ხელისუფლება ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. ეს გამოწვევები მომავალშიც არ მოაკლდებათ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსეთში, თურქეთსა და ირანში ინფლაცია გაგრძელდება. ინფლაცია დაწყებულია ჩინეთშიც. ჩვენდა საუბედუროდ, ეს ოთხივე ქვეყანა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია. გვინდა თუ არა, ინფლაციას ვერც ჩვენ გადავურჩებით.**

***– ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკა მთლად დაიქცევა?***

– პრევენციული ზომები თუ არ იქნა მიღებული, ბუნებრივია, ცუდად წავა საქმე.

***– ამ ვითარებაში გამოსავალი არის?***

– გამოუვალი მდგომარეობა, როგორც წესი, არ არსებობს. გააჩნია, შენ რა გინდა. ჩვენი აზრი თუ აინტერესებს მკითხველს, რუსეთის, თურქეთისა და ირანის დაპირისპირება დასავლეთთან საქართველოსთვის არის ისტორიული შანსი. უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში საქართველო ამაზე მომგებიან სიტუაციაში არ ყოფილა.

***– რუსეთის დაპირისპირებას დასავლეთთან თქვენ საქართველოსთვის ისტორიულ შანსად მიიჩნევთ. იყენებს ხელისუფლება ამ შანსს? საქართველოში მინისტრების ნახევარი ლამის რუსეთიდან ჩამოვიყვანეთ.***

– პოლიტიკა ქვეტექსტების ენაა და სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ეს ყველაფერი დიდი თამაშის კარგად გათვლილი ნაწილი იყოს.

***– გინდათ თქვათ, რომ რუსეთიდან იმიტომ ჩამოგვყავს ხალხი მინისტრებად, რომ მოსკოვს ვატყუებთ, თქვენ გეტრფითო და სინამდვილეში დასავლეთს ვუჟუჟუნებთ თვალებს?***

– კონკრეტული სახელებისა და გვარების გამო იმ ქვეყანასთან ურთიერთობის გაფუჭება არაა მართებული, რომელიც მომავალში დასავლეთის კიდევ უფრო დიდი წნეხის ქვეშ მოექცევა.

ის, რაც ხდება, უნდა მომხდარიყო. ჩვენ ამ პროცესებს ვერ შევაჩერებთ. ახლა ისაა მთავარი, გავარკვიოთ, რის მიღებას ვაპირებთ ამ პროცესებიდან.

***– თქვენი აზრით. რის მიღებას ვცდილობთ ამ პროცესებიდან? დასავლეთს ვირჩევთ თუ ისევ რუსეთი გვინდა?***

– ეჭვი მეპარება, საქართველოში იყოს ისეთი ძალა, რომელსაც განვითარებულ დასავლეთს დაქცეული რუსეთი ერჩივნოს.

***– ამას გულწრფელად ამბობთ? საქართველოში ძალიან ბევრია ისეთი, ვისაც რუსეთი დასავლეთს ურჩევნია.***

– მე წარმატებულ ადამიანებზე მოგახსენეთ. ისინი დასავლეთს რუსეთს არასდროს ამჯობინებენ. კრემლს ხელმოცარულები და დაბოღმილები უჭერენ მარტო მხარს. მეეჭვება, ნორმალურ ადამიანს საომარ მდგომარეობაში მყოფი რუსეთის ქვეშ უნდოდეს შეძრომა.

ვისაც მაინც მაგათ ქვეშ უნდა შეძრომა, მინდა ვუთხრა, რომ იქ გაქანებული კრიზისია და ეს კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება.

***– რამდენი წელია, ამ რუსეთში ეგ კრიზისია, მაგრამ ვერაფრით გაღრმავდა.***

– ახლა გაღრმავდება. ძალიან მალე რუს ოლიგარქებს ელექტრონულ მომსახურებას აუკრძალავენ. მდიდარ რუსებს ანგარიშები ძირითადად დასავლეთის ბანკებში აქვთ და გადარიცხვებს ელექტრონული ბარათებით აკეთებენ. მალე ამის უფლება აღარ ექნებათ. იძულებული იქნებიან, ფულის მოსახსნელად იქ ჩავიდნენ, სადაც ფული აქვთ. ეს რუსებს ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს. იქ სიტუაცია იქამდე დამძიმდება, რომ შეიძლება, თოფიც კი გავარდეს. ამ შემთხვევაში გლობალურ ომზე არ ვსაუბრობ.

ასე რომ, არ მესმის, მდიდარ და წარმატებულ ქართველს რატომ უნდა უნდოდეს ათუხთუხებულ მარტენის ღუმელში ხელის შეყოფა.

***– თავისი ნებით შეიძლება არც შეყონ, მაგრამ თქვენ ხშირად ამბობთ, რომ საქართველოში ბევრი თანამშრომლობს რუსეთის სპეცსამსახურებთან. არც ლუსტრაციის კანონია მიღებული და რა გარანტიაა რომ რუსეთის სპეცსამსახურები არ შეაყოფინებენ ათუხთუხებულ ღუმელში ხელს?***

– თუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთის ქვეშ შეძრომის შემთხვევაში მათ რუსული სპეცსამსახურები დაიცავენ, ძალიან შემცდარან. ამის გამო მათ დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურები ძალიან მკაცრად მოსთხოვენ პასუხს.

***– დასავლური სპეცსამსახურები რატომ მოსთხოვენ მათ პასუხს?***

– იმიტომ, რომ ისინი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არიან და ისინი რუსეთში შემძვრალებს სასტიკად დასჯიან. მათი დასჯა შეიძლება საჭიროც აღარ გახდეს, რუსეთი ჩამოიშლება და მის ნანგრევებში მოყვებიან.

***– მართლა გჯერათ, რომ რუსეთი ჩამოიშლება?***

– რა თქმა უნდა, ჩამოიშლება. ფაქტობრივად, ჩამოშლილები არიან და ამას გაფორმება სჭირდება. 2022 წლისთვის რუსეთის დაშლა გაფორმდება. როგორც სხვა ჩემი პროგნოზები ახდა, ესეც ახდება. თქვენს მკითხველს ვთხოვ, კარგად დაიმახსოვროს ჩემი ნათქვამი.

***– რუსეთი შეიძლება ჩამოიშალოს, მაგრამ კრემლი ისეთი ვერაგია, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს მაინც არ დათმობს.***

– ისე კარგად დათმობს. თავისი სურვილით ამას არ გააკეთებენ, მაგრამ დასავლური სანქციები ამ ნაბიჯს გადაადგმევინებს. მინდა იცოდეთ, რომ ოკუპირებულ რეგიონებში კრემლის გავლენები ნელ-ნელა სუსტდება.

***– ეს შესუსტება რით გამოიხატება? ცხინვალის მთავრობა რამდენიმე თვის წინ ყაზბეგის დაბრუნებას ითხოვდა, ახლა კი ამბობენ, რომ მცხეთისა და არაგვის შესართავამდე ტერიტორიას ისინი აკონტროლებდნენ.***

– რა მტკვრისა და არაგვის შესართავამდე? ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყო მაგათი. მეტსაც გეტყვით, ეგვიპტეში პირამიდები მაგათ ააგეს.

***– მაგათ თუ სომხებმა?***

– ერთად ააშენეს და ერთად აკონტროლებდნენ მსოფლიოს.

***– ახლა დაამატეთ, რომ ხუმრობთ, თორემ მერე სომხური მედია დაწერს, ქართველები აღიარებენ, პირამიდები ჩვენ ავაშენეთო.***

– მარტო სომხური რატომ? შეიძლება, ოსურმა მედიამაც დაწეროს. ერთ სენსაციურ ამბავსაც გავამხელ – სომხები და ოსები ძველი ატლანტიდელები არიან. რაც შეეხება რუსებს, ისინი არიელების ჩამომავლები ყოფილან.

***– ეს დასკვნა თქვენ გეკუთვნით?***

– რუს, სომეხ და ოს მეცნიერებს. ისინი ამტკიცებენ, რომ რუსები ჯერ კიდევ 26 საუკუნის წინ იყვნენ, უბრალოდ, მაშინ მათ არიელებად იცნობდნენო.

ყველამ კარგად იცის, რომ ეგენი თათარ-მონღოლების ჩამომავლები არიან. ამას თავადაც ვერ მალავენ. ამიტომ ახალი ვერსია მოიფიქრეს – ამტკიცებენ, რომ თათრები კავკასიიდან წამოსული ხალხია და ისინი არიელებიდან შეჯვარდნენ



**საქართველოში ცბიერებასა და სივერაგეში გამობრძმედილი ფინანსისტები და ბანკირები არიან. თურქეთსა და რუსეთში მიმდინარე პროცესები რომ არ გამოეყენებინათ სათავისოდ, გამორიცხულია.**

და ასე წარმოიშვნენ რუსები.

***– ამას მართლა ამბობენ თუ თქვენ მოუგონეთ?***

– მართლა ამბობენ. ისტორიის გაყალბება მათი სტილია. ეს გაყალბებული ისტორია და მითვისებული ტერიტორიები მოუღებს მათ ბოლოს.

საქართველოსგან განსხვავებით, რუსეთში უამრავი სხვადასხვა ეროვნება ცხოვრობს. ყველა თავის მიწაზეა და არავინ არ მოისურვებს, კრემლის ინტრიგების გამო ნანგრევებში მოჰყვეს. რუსეთი აუცილებლად დაიშლება.

პირველი მათ ჩრდილოეთ კავკასია გამოეყოფა. დღეს აქ ხალხი რომ ჩუმად არის, არ ნიშნავს, რომ ისინი რუსეთის ყმობაზე არიან თანახმა. ისინი აუცილებლად იტყვიან თავიანთ სათქმელს. ჩრდილოეთ კავკასია მალე გათავისუფლდება მონღოლთა ურდოს ტყვეობიდან.

აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონიც მალე დაგვიბრუნდება. ამდენი იომეს ჩვენ წინააღმდეგ და ცოტა ხანში ისევ ჩვენ გვთხოვენ დახმარებას.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ჩვენგან ითხოვენ დახმარებას?***

– სხვა მაგათ არავინ დაეხმარება. რუსეთმა ეგენი საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა. ნახმარ ნივთს, როგორც წესი, აგდებენ. აფხაზებსა და ოსებსაც ასე მოუვათ. ნაგავიდან მათი ამოყვანა ჩვენ მოგვიწევს. ამაში დასავლეთი დაგვეხმარება. დღეს საქართველოზე მეტად დასავლეთს აწყობს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

***– თუ აწყობს, რატომ არ გვიღებენ ნატოს კარს? აქამდე აშშ-ის არცერთ პრეზიდენტს არ განუცხადებია, რომ საქართველო ნატოში ჯერ ვერ შევა. ტრამპმა კი თქვა.***

– ტრამპმა ეს განცხადება პუტინთან შეხვედრის წინ გააკეთა, ეგონა, ამით აზრზე მოიყვანდა რუსეთს. კრემლი აზრზე არ მოვიდა და დაადეს კიდეც სანქციები. ეს სანქციები დაშლის და გაანადგურებს მაგათ.

***– წინა ინტერვიუებში პესიმისტურად გამოიყურებოდით, ახლა ოპტიმიზმით საუბრობთ. აშკარაა, რომ რუსეთისთვის დაწესებული სანქციები თქვენზე კარგად მოქმედებს.***

– ცუდად რატომ უნდა მოქმედებდეს? ეს სანქციები ჩემს ქვეყანას წაადგება. რუსეთი ისეთ დღეში ჩავარდება, ჩვენც კი შეგვეცოდება. ბოროტება არავის შერჩენია. ყველა იმპერია დაინგრა და ესენიც დაინგრევიან.

# ბიძინა გუჯაბიძე: „გონიერი ადამიანი სააკაშვილის გვერდით არ იდგებოდა“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის ყოფილი წევრი ბიძინა გუჯაბიძე „ახალ თაობას“ პრეზიდენტობის კანდიდატების დადებით და უარყოფით მხარეებზე ესაუბრა.**



**სააკაშვილის გუნდში (როგორიც იყო სააკაშვილი და მისი გარემოცვა) პირდაპირი დიქტატი იყო. არა მარტო სააკაშვილის სატელიტები იყვნენ, არამედ თვითონ იყვნენ სააკაშვილები.**



***– რაღაც არაორდინარული სიტუაცია შეიქმნა, რადგან მმართველ პარტიას მის მიერ დასახელებული პრეზიდენტობის კანდიდატი არ ეყოლება. ამ გადაწყვეტილებამ პოლიტიკური სპექტრი ცოტა დააბნია.***

– ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ევროპას გავაკვირვებთო. ევროპაშიც არ მომხდარა მსგავსი რამ, რომ მმართველი პარტია ასპარეზს სხვებს უთმობდეს.

***– ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრში ფიქრობენ, რომ რაღაც თამაში წამოიწყო ბიძინა ივანიშვილმა. კანდიდატის არ დასახელებას ზოგი სისუსტედ მიიჩნევს, ზოგი – უცნაურად, თუმცა ფიქრობენ, რომ „ოცნება“ დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს. „ოცნებიდან“ ზოგიერთები გამოვიდნენ და თქვეს, კარგი იქნებოდა, პრეზიდენტობის კანდიდატი ჩვენი პარტიიდან დაგვესახელებინაო. თქვენ როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას?***

– მრავალშვილიანი კომბინაცია რომ არის, ამიტომ დაიბნა ხალხი. სანამ პოლიტიკური სიტუაცია ფინალში არ გავა, მანამ ძნელი იქნება გარჩევა. მე ცუდად არ ვარ განწყობილი სალომე ზურაბიშვილის მიმართ, გამოცდილება არ აკლია. რამდენიმე გამონათქვამი თუ არის და წარსულში რაღაც შეეშალა გადახარშა. თუ „ოცნება“ თავისი კანდიდატურას არ ასახელებს, უნდა შეჯერდნენ სალომე ზურაბიშვილზე. პოლიტიკაში ბევრი რაღაც მოსულა. ბევრი რამ უნდა დავივიწყოთ, ბევრი რაღაც გვერდზე უნდა გადავდოთ.

***– რაზე საუბრობთ?***

– ალბათ მიხვდით, რასაც ვგულისხმობ – ტრადიციული განწყობები ეროვნული ხელისუფლების მიმართ და ა.შ.

***–ცალ-ცალკე რომ განვიხილოთ დასახელებული კანდიდატების შანსები, ამ შემთხვევაში, თუ უკეთესი კანდიდატურები არ ჰყავს „ოცნებას“, მხარი უნდა დაუჭიროთ სალომე ზურაბიშვილს?***

– დიახ. მე ასე ვფიქრობ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, „ოცნება“ რას გადაწყვეტს. „ოცნების“ სახელით ვერ ვილაპარაკებ. მე ჩემს აზრს ვამბობ.

***– თქვენ წარსული ახსენეთ და სწორედ ეს წარსული განწყობები შესანიშნავად გამოიყენეს ნაცმოძრაობისა და სხვა კანდიდატებმა სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ. მთელი ფეისბუქი გადავსებული იყო ე.წ. კომპრომატებით.***

– ეს მოსალოდნელიც იყო და ქალბატონ სალომესაც უნდა სცოდნოდა. რა თქმა უნდა, არც ერთი მოწინააღმდეგე ხელიდან არ გაუშვებდა და სალომესათვისაც არ უნდა ყოფილიყო გასაკვირი. მე, მაგალითად, არ გამკვირვებია. როდესაც ადამიანი ასეთ საქმეს ეჭიდები, იქ ასეთი რამ დასაშვებია. ეს არ არის უმნიშვნელო, მერე რა, რომ ნაცმოძრაობა აქვეყნებს ამას. ამომრჩეველი სხვადასხვანაირია და ნებისმიერ სეგმენტზე ნებისმიერი ავტორი ახდენს გავლენას, ნაცმოძრაობა იქნება, ევროპული საქართველო თუ ნებისმიერი სხვა ოპოზიციური ფლანგი.

***– რამდენადაც ვიცი, სალომე ზურაბიშვილს ეროვნული ხელისუფლების შესახებ ინფორმაციას ჯანრი კაშია აწვდიდა.***

– დიახ, იმ პროცესში სალომე ზურაბიშვილი კი არა, უფრო ჯანრი კაშია ფიგურირებდა. როგორც მახსოვს, იმ დროს სალომე ზურაბიშვილის პოზიციები ამ საკითხში უფრო არ იყო გამოკვეთილი, ვიდრე ჯანრი კაშიასი. პრინციპში, ამ მხრივ ძალიან გარკვეული არ ვარ, რაც წამიკითხავს, იმას გეუბნებით. გადასამოწმებელია, მაგრამ, საერთო ჯამში, რაღაც-რაღაცები გვერდზე უნდა გადავდოთ, როცა ეს ქვეყანას სჭირდება.

***– სალომე ზურაბიშვილმა მხოლოდ ამ საკითხზე არა, ზოგადად, მის მიმართ გაჩენილ პრეტენზიებზე განაცხადა, რომ მას გარკვეულ მომენტში ნაკლები ინფორმაცია ჰქონდა, შემდეგ გადახარშა, სხვა ინფორმაციებიც მიაწოდეს და ახლა სხვა აზრი აქვს. სალომე ზურაბიშვილის შანსებს როგორ აფასებთ?***

– თუ „ოცნება“ დაუჭერს მხარს, სალომე ზურაბიშვილი პირველივე ტურში გაიმარჯვებს. ამას არ უნდა დიდი წინასწარმეტყველება. თუ სალომე დამოუკიდებელ კანდიდატად წარდგება, „ქართული ოცნება“ გვერდით დაუდგება, მაგრამ არ იქნება ისეთი აქტიური, როგორიც თავისი კანდიდატის დროს, რა თქმა უნდა, გაუჭირდება.

***– შეიძლება, მეორე ტური იყოს?***

– რამდენად გაუჭირდება, ცოტა ძნელი სათქმელია. გააჩნია, თვითონ ქალბატონი სალომე როგორ იმოქმედებს, როგორ დალაგდება პოზიციები. გარკვეული სვლების გაკეთება შეიძლება საარჩევნო კამპანიის ბოლოს. თუ „ოცნებამ“ მხარი დაუჭირა, საეჭვო არაფერი იქნება.

***– სალომე ზურაბიშვილის კონკურენტები არიან გრიგოლ ვაშაძე, დავით ბაქრაძე, დავით უსუფაშვილი, შალვა ნათელაშვილი. თითოეულს დიდი იმედი აქვს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატებას მიაღწევს.***

– გრიგოლ ვაშაძე და დავით ბაქრაძე, პრინციპში, ერთნი არიან, რომელი აღმოჩნდება ძირითად შემადგენლობაში, გააჩნია, შეფი როგორ უბრძანებს გადაკარგულადან. თუ ორივე დარჩა, ხმებს ერთმანეთს წაართმევენ. საპარლამენტო არჩევნებში მათი ხმების ოდენობა დაახლოებით 400 ათასი იყო. საპრეზიდენტო არჩევნებში მათ შორის ეს ხმები გაიყოფა.

გახლეჩის პირობებში ნაციონალური მოძრაობა და მისი განაყოფები ყველანაირად ჩაძირულები არიან. ტყუილად ბაქიბუქობენ და არც ერთს არავითარი შანსი არ აქვს.

***– ახლა სხვა კანდიდატების მიმართ არსებულ კომპრომატებზე რომ ვისაუბროთ – დავით ბაქრაძემ პარლამენტის თბილისის შენობა დაანგრევინა 2012 წელს, იმაზე გამწარებულმა, ბიძინა ივანიშვილმა რატომ გაიმარჯვაო. 2012 წელს, იქამდე, სანამ ახალი თავმჯდომარე აირჩეოდა, ამ შენობის ბატონ-პატრონი ხომ დავით ბაქრაძე იყო? როგორც ცნობილია, პარლამენტის დარბაზები მთლიანად დაანგრევინეს. დანგრეული დარბაზებიდან უნიკალური ავეჯის ნაწილი დაანგრიეს, ნაწილი გაიტანეს. დღეს დავით ბაქრაძე პრეზიდენტობის კანდიდატია და გამარჯვებაზე ფიქრობს.***

– როგორც მახსოვს, პარლამენტის შენობაში ბაქრაძის ბრძანებით დაჩეხეს ყველა კარი, ყველა ფანჯრის რაფა, კაბელები ერთი მეტრის სიგრძეზე დაჭრეს, სხვა კომუნიკაციებიც დაანგრიეს და დაჩეხეს. გერმანიაში არ ვარ ნამყოფი, მაგრამ ამ მიდგომით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რაიხსტაგს უნდა მისდგომოდა ყველაზე დიდი ზარალი. იმაზე უარესი მდგომარეობა იყო.

**როგორც მახსოვს, პარლამენტის შენობაში ბაქრაძის ბრძანებით დაჩეხეს ყველა კარი, ყველა ფანჯრის რაფა, კაბელები ერთი მეტრის სიგრძეზე დაჭრეს, სხვა კომუნიკაციებიც დაანგრიეს და დაჩეხეს. გერმანიაში არ ვარ ნამყოფი, მაგრამ ამ მიდგომით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რაიხსტაგს უნდა მისდგომოდა ყველაზე დიდი ზარალი. იმაზე უარესი მდგომარეობა იყო.**

ბევრი დანგრეული შენობა მინახავს, მაგრამ ასეთი იავარქმნილი და დანგრეული – არა. ბაქრაძე ამას თავისი ინიციატივით არ გააკეთებდა. ასეთი პიროვნება ახლა გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის ლიდერად გვევლინება და პრეზიდენტის პოსტზე კიდევ ურცხვად აყენებს თავის კანდიდატურას.

***– შეიძლება, სააკაშვილის ბრძანება იყო, დაენგრიათ თბილისის პარლამენტის შენობა, რომ ქუთაისში გევლოთ ან სხვები ვერ შესულიყვნენ, მაგრამ, ხომ შეიძლება, გონიერი ადამიანმა არ შეასრულო ასეთი დანაშაულებრივი ბრძანება, მით უმეტეს, როცა ხელისუფლებაში აღარ ხარ?***

– გონიერი ადამიანი სააკაშვილის გვერდით არ იქნებოდა, მაგრამ თქვენ მორალურ მხარეს გულისხმობთ, ალბათ – სააკაშვილის ირგვლივ მორალს რა უნდოდა. სააკაშვილის გუნდში (როგორიც იყო სააკაშვილი და მისი გარემოცვა) პირდაპირი დიქტატი იყო. არა მარტო სააკაშვილის სატელიტები იყვნენ, არამედ თვითონ იყვნენ სააკაშვილები.

***– ნაცები მონურ მორჩილებას სხვებს აბრალებენ. ამ დროს თვითონ ისე იყვნენ დამოკიდებული ერთი კაცის, სააკაშვილის აზრზე, რომ დანაშაულების ჩადენას არ ერიდებოდნენ. პარლამენტის შენობის დანგრევა, რომლის აღდგენას 25 თუ 20 მილიონი დასჭირდა, უპატიებელი დანაშაულია, თუმცა ბაქრაძემ შეძლო, გადაეგორებინა ეს ფაქტი და მისთვის პასუხისმგებლობა არავის მოეკითხა. რატომ მოხდა ასე?***

– იმ პერიოდში გარე ფაქტორები მოქმედებდნენ შიდა პოლიტიკაზე. უცხოეთის დიპლომატიური წრეების მხრიდან იყო თხოვნა, მაინცდამაინც არ შეგვევიწროებინა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები (მე ასე მგონია). ასე რომ, გარკვეული დოზით დაშვებული იყო ვიღაც-ვიღაცების დაჭერა, გარკვეული თვალსაზრისით – არა. ბაქრაძე იმ მხარეს აღმოჩნდა, რომელსაც არ უნდა შეხებოდა.

***– გასაგებია. ბაქრაძე-ბოკერიას (რომელსაც ე.წ. ციხის ბუნტის დროს ადამიანების ჩახოცვაში ადანაშაულებენ) ჯგუფს არ უნდა შეხებოდა სამართალი.***

– რადგან ჩართული იყვნენ გარკვეულ თამაშებში, დასავლეთს არ აწყობდა მათი პასუხისგებაში მიცემა. ხელისუფლება, რომელიც 2012 წელს მოვიდა, არ იყო მყარი საერთაშორისო ასპარეზზე.

***– კიდევ ერთი წელი პრეზიდენტი ისევ სააკაშვილი იყო.***

– დიახ, გარკვეულმა ფაქტორებმა ამ საკითხში გადამწყვეტი როლი ითამაშეს. კოაბიტაცია მარტო იმით კი არ იყო განპირობებული, რომ სააკაშვილი და უგულავა ჯერ კიდევ პოსტებს ინარჩუნებდნენ (იძულებული იყვნენ, შეენარჩუნებინათ), არამედ გარკვეული ზეწოლა და თხოვნა იყო დასავლეთიდან, გარკვეულ პირებს პასუხი აგებინეთ, გარკვეულ პირებს – არა. ასეთი მიდგომა უფრო მეტ პოზიტივს მოგიტანთ, ვიდრე ყველა რომ ჩასვათო. ამის თაობაზე არავისთან მისაუბრია. ლოგიკიდან გამომდინარე ვამბობ.

***– თუმცა, ამ მიდგომამ ქვეყნის შიგნით ის ადამიანები გაანაწყენა, რომლებიც სამართლიანობის სრულ აღდგენას მოელოდნენ.***

– გეთანხმებით, ამ მიდგომამ გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში რამდენი არჩევნები ჩატარდა და ამომრჩეველმა აპატია „ოცნებას“. ასეც უნდა მომხდარიყო. სხვანაირად არ შეიძლება, ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადააყოლო და შენს მოყვანილ ხელისუფლებას მხარში უნდა დაუდგე. კარგად მოგეხსენებათ, ბევრი რამ ხდება პოლიტიკაში.

***– უარყოფითი ფაქტორი რა აქვს ვაშაძეს, ვთქვათ, გარდა იმისა, რომ ნაცმოძრაობის კანდიდატია?***

– ვაშაძე ერთი ჩამოუყალიბებელი პირია, რომელსაც უთხრეს, შენ თუ დააყენებ კანდიდატურას, მნიშვნელოვანი მინუსები არ გაქვს, ჩვენ კი ბევრი მინუსი გვაქვს და გაგვანადგურებენო. ვაშაძემაც იფიქრა, რატომაც არა, ისტორიაში შევალო. მეორე მხრივ, შეიძლება, მის მიერ პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრა იმით არის განპირობებული, რომ პოლიტიკურად აქტიური ადამიანი ხელშეუხებელია.

***– ამბობთ, ვაშაძე ჩამოუყალიბებელიაო. ამაში არ დაგეთანხმებით. ჩამოუყალიბებელი ადამიანი ვერ იქნებოდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯერ საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილებაში, შემდეგ – კოსმოსისა და ბირთვული შეიარაღების განყოფილებაში.***

– შეიძლება დიპლომატიაში პროფესიონალია. მის ჩამოუყალიბებლობაში ვგულისხმობ პოლიტიკურ ჩამოუყალიბებლობას – თუ შენ არავითარი შანსი არ გაქვს და პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრი გარანტიებისთვის, ასეთ საქმეს რატომ ეჭიდები.

***– თანაც ვაშაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ისეთ განყოფილებაში მუშაობდა, თუ არ იქნებოდი საბჭოთა კგბ-ს მაღალი რანგის კადრი, იქ არავინ დანიშნავდა.***

– კგბ-ს კადრობა არის ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც საბჭოთა კავშირში შეიძლება დაენიშნათ მაღალ თანამდებობაზე.

***– უსუფაშვილი თქვენ დროს, 2012 წლის პარლამენტის თავმჯდომარე იყო. ახლა არის შენების მოძრაობის ლიდერი. რა შეიძლება იყოს მისი უარყოფითი ფაქტორი?***

– ძალიან კარგად ვიცნობ დავით უსუფაშვილს, მაგრამ ძალიან გაუჭირდება, რადგან ლიბერალიზმის იდეოლოგიამ მთელ მსოფლიოში კრახი განიცადა, თანაც ჩვენს პირობებში ლიბერალიზმის იდეოლოგიამ ძალიან დამახინჯებული სახე მიიღო, ამიტომ უსუფაშვილს ძალიან გაუჭირდება წარმატების მიღწევა. ჩვენს პირობებში არის ფსევდოლიბერალიზმი, უსუფაშვილი, ფაქტობრივად, აღიქმება ლიბერალიზმის ერთ-ერთ ფლანგზე. თუმცა, ის ცუდი პარლამენტის თავმჯდომარე არ იყო, ყველაზე გაწონასწორებული და ნორმალური თავმჯდომარე იყო.

***– ნათელაშვილი სტაჟიანი, პოლიტიკურ ბრძოლებში ნაცადი ლიდერია. ნათელაშვილს რა შეუშლის ხელს პრეზიდენტად არჩევაში?***

– ერთხელ ვთქვი, 2002 წელს, როცა შევარდნაძის წინააღმდეგ შემოდგომაზე გამოსვლები ეწყობოდა, ნათელაშვილი არასერიოზულად იქცეოდა. 16 წელი გავიდა და ისევ არასერიოზულად იქცევა.

***– რატომ ამბობთ ასე?***

– მაშინ დავრწმუნდი, რომ არ არის ნათელაშვილი სერიოზული კაცი. მასთან ვინც არიან, ისინიც მისნაირები არიან, კრიტიკულ სიტყვას ვერ ათქმევინებ.

***– თქვენს ლიდერს გააკრიტიკებდით, პირდაპირ ეტყოდით რამეს თუნდაც ბიძინა ივანიშვილს?***

– ბიძინა ივანიშვილს ხომ უთხრეს გარკვეულმა პირებმა. მე როგორ მოვიქცეოდი, სხვაა. მე არ დავდგებოდი ასეთ ირაციონალურ პიროვნებასთან. ნათელაშვილსაც უთხრეს მისმა თანაპარტიელებმა და წამოვიდნენ. მას მხოლოდ ერთი, გუგავა დარჩა, სხვა ყველა გაიქცა და, რაც ხდებოდა წლების განმავლობაში, სახალხოდ ილაპარაკეს.

# რატომ მოითხოვენ რუსი მებაჟეების მოხსნას საქართველოში მომავალი რუსები?

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ზემო ლარსის მონაკვეთზე შეფერხებები და დაბრკოლებები ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა ბოლო დროს იქ განვითარებულმა პრობლემებმა უფრო მასშტაბური სახე მიიღო. საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოსა და სომხეთში სახმელეთო გზით დროულად მოხვედრის მსურველებმა ელექტრონული პეტიცია შეადგინეს. ბოლო მონაცემებით, მას 2.400-ზე მეტმა მომლოდინემ მოაწერა ხელი.**

პეტიციის ავტორი რუსეთის მოქალაქეები აცხადებენ, რომ რუსეთის მებაჟეები ხელოვნურად ქმნიან უშველებელ რიგებს ზემო ლარსთან. ამის შედეგად ადამიანებს 13 საათის და მეტი დროის განმავლობაში უხდებათ ცდა.

– მაშინ, როცა ქართულ მხარეს 40 წუთს ხარჯავ, რუსეთის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე 10 საათზე მეტი ხანი გიწევს ლოდინი. თუ ჩვენი სპეციალისტები თავს ვერ ართმევენ ამ სამუშაოს, ძირს ასეთი სპეციალისტები! ჩვენ ის ადამიანები ვართ, ვისაც გვაქვს საქართველოსა და სომხეთში დასვენების სურვილი. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისაც გვყავს ნათესავები საქართველოსა და სომხეთში, – ნათქვამია პეტიციაში, რომელსაც პუტინსაც უგზავნიან.



აშკარაა, რომ წელს საქართველოში რუსი ტურისტების მოზღვავებაა. გაღრმავებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველოსკენ მომართა ის ნაკადი, რომელიც ადრე თურქეთსა და ეგვიპტეში დადიოდა.

რუსეთიდან ჩამოსული დამსვენებლების დიდ ნაწილს საქართველოში ნათესავები არ ჰყავს. ბევრი უარს ამბობს სასტუმროებზე და ბინებს ქირაობს არა მარტო ზღვისპირეთში, არამედ, თბილისშიც. როგორც ირკვევა, თბილისში ცხოვრება მათ ბევრად იაფი უჯდებათ, ვიდრე ბათუმში, ქობულეთსა და ბორჯომში.

რუსეთის მოქალაქეების ნაკადების მატება მოხდა საქართველო-რუსეთს შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობების ფონზე. სოციოლოგიური კვლევით, გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების 81% მხარს უჭერს რუსეთის ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებას. ეს მაჩვენებელი 2013 და 2015 წლებში უფრო დაბალი იყო. გამოდის, რომ საქართველოში დასვენებისა და გართობის კვალდაკვალ იზრდება საქართველოსა და მისი ტერიტორიული მთლიანობის მოწინააღმდეგე რუსეთის მოქალაქეების რიცხვი.

ეს რაოდენობა, წესით, მომავალში უნდა გაიზარდოს, რადგან ამერიკული სანქციების გამო, რუსეთის ეკონომიკა უფრო დაუძლურდება, ნაკლებშემოსავლიანი რუსები კი ისევ საქართველოს მოაშურებენ.

ფინელი ექსპერტების ინფორმაციით, რუსეთში საგრძნობლად იზრდება სამომხმარებლო სესხების აღება, საწარმოები კი ძველებურად მცირე რაოდენობის კრედიტებს იღებენ.

ფინელი ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ წინა წლებში რუსეთის მოსახლეობა ძალიან მშვიდად ხვდებოდა ეკონომიკურ სტაგნაციას. რამდენიმე წლის განმავლობაში ხალხი იჭერდა ქამრებს და ჩუმად იყო. რუსეთში გაჭირვება იზრდება, ხალხის მოთმინება კი უსაზღვრო არ არის. საზოგადოებაში უკვე ისეთი პროტესტია, რომ ხელისუფლებას მოუწევს კომპრომისი საპენსიო საკითხში და უარის თქმა საპენსიო ასაკის გაზრდაზე.

ამერიკული ახალი სასანქციო პაკეტის გამო რუსეთში პანიკაა, თუმცა, საჯაროდ კეთდება განცხადებები, რომ ამით რუსეთს ბევრი არაფერი დააკლდება. ზოგიერთი ექსპერტი განმარტავს, რომ ახლანდელი სანქციები ძველის ახლიდან შეფუთვაა. თუ „აეროფლოტს“ არ შეუშვებენ აშშ-ში, ვერც ამერიკული ავიაკომპანიები იფრენენ რუსეთის ქალაქებში; თუ არ იქნება იმპორტი რომელიმე დარგში, მას ადგილობრივი პროდუქციით ჩაანაცვლებენ.

რუსეთში თავს იმითაც იმშვიდებენ, რომ აშშ მარტო რუსეთს არ ებრძვის – მას სავაჭრო ომი აქვს დასავლეთის სხვა სახელმწიფოებთან, ჩინეთთან და, ფაქტობრივად, ყველასთან.

თუმცა, არსებობს ინფორმაცია იმაზე, რომ ვაშინგტონი მოსკოვს უმკაცრეს შეზღუდვებს დაუწესებს, რაც დაანგრევს რუსეთის ეკონომიკას.

# 9 ადამიანს ქონება იძულების წესით ჩამოერთმევა



„სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ცაგერისა და ქედის მუნიციპალიტეტებში მდებარე უძრავი ქონების ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა. საუბარია, ქვესადგურ „ლაჯანური 500“-სა და „ახალციხე – ბათუმის“ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტებზე.

კერძოდ, ,,ლაჯანური 500“-ის მშენებლობის გამო, ექსპროპრიაციას დაექვემდებარება – ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანაში, მარიამ, მერაბ და ნაზიკო ფრუიძეებისა და ქეთინო ბურჯალიანის კუთვნილი 614 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული ნარგავები.

„ახალციხე-ბათუმის“ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში კი ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ არსენაულში – მედეა ბერიძის, სელიმ, სოსლან, სულიკო და სულხან სურმანიძეების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ექცევა. მიწის მთლიანი ფართი 7 330 კვ. მეტრი, საექსპროპრიაციო ფართი კი 58 კვადრატულია.

აღსანიშნავია, რომ მესაკუთრეებს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ წერილობით აცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე, თუმცა მათ საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისებაზე უარი განაცხადეს.

ცნობისთვის, „ახალციხე – ბათუმის“ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) დაფინანსებით ხორციელდება, რათა მოხდეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახალი ჰესების (,,შუახევის“ და ,,კორომხეთის“ ჰესები) მშენებლობის შედეგად გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემა, განაწილება ან/და ექსპორტი. ქვესადგურის „ლაჯანური 500“-ის მშენებლობა კი ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერითა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკ –KFW-ის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტი ხელს შეუწყობს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გამოტანას და შესაბამისად ელექტრონულ ქსელში მის ინტეგრაციას.

ბპნ

# მთავრობამ ბუნებრივი გაზის მოხმარების პროგნოზი 243 მლნ კუბ.მეტრით შეამცირა



ეკონომიკის სამინისტრომ ბუნებრივი გაზის მოხმარების პროგნოზი შეამცირა.

უწყებამ 2018 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსის კორექტირებული ვერსია გამოაქვეყნა, სადაც 242.66 მლნ კუბ. მეტრი გაზით არის შემცირებული 2018 წელს გაზის მიწოდების პროგნოზი.

სულ ქობულიას უწყება წლის განმავლობაში 2.447 მილიარდამდე კუბ.მეტრი გაზის მიღებას ვარაუდობს, რასაც სრულად აზერბაიჯანი დააკმაყოფილებს. რუსული გაზი ბალანსში გათვალისწინებული არ არის, თუმცა გაჩნდა ჩანაწერი სხვა წყარო, რაც დოკუმენტის წინა ვერსიაში არ გვხვდება.

GBC

# აფბა: „ნავთობიმპორტიორები ლარის გაუფასურებით სპეკულირებენ და საწვავზე ფასებს ზრდიან“

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია შეშფოთებას გამოთქვამს ნავთობპროდუქტების ადგილობრივ ბაზარზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. ორგანიზაციის შეფასებით, ნავთობიმპორტიორები თითქმის სრულად გაემიჯნენ გლობალურ პროცესებს. აფბას შეფასებით, ნავთობიმპორტიორები ლარის კურსის ვარდნით სპეკულირებენ და საწვავს აძვირებენ:

– აგვისტოს პირველ ნახევარში საწვავზე ფასები საქართველოში 2-ჯერ დაკორექტირდა ზრდის მიმართულებით. საწვავის აღნიშნულ გაძვირებას პრაქტიკულად არანაირი ეკონომიკური ახსნა არ გააჩნია, იმდენად, რამდენადაც, ივლისის ბოლოდან დღემდე ნედლი ნავთობის ფასი 4 დოლარით არის შემცირებული და დღეის მდგომარეობით, ჭთl -ის ტიპის ნავთობის ფასი თითქმის 66 დოლარამდეა დაცემული. მსოფლიო ბირჟებზე ფასების მკვეთრი ვარდნა უკვე, თითქმის ორი კვირაა, გრძელდება, რამაც ასახვა უკვე ჰპოვა პლაცსის ფასზეც, თუმცა ამის მიუხედავად, ადგილობრივ ბაზარზე ფასები გაიზარდა და ამის მიზეზად ეროვნული ვალუტის გაუფასურება დასახელდა.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ბოლო ერთი კვირის მანძილზე ეროვნული ვალუტა 15 პუნქტით გაუფასურდა, მაგრამ ასე მყისიერად ეროვნული ვალუტის ცვლილებით, საწვავის ფასი ცვლილება თითქმის შეუძლებელია და არ ემორჩილება არანაირ ეკონომიკურ პრინციპებს, რომ არაფერი ვთქვათ 2-კვირიან მონაკვეთზე, რომელშიც ნავთობის ფასი მნიშვნელოვნად შემცირდებოდა და აგრძელებს დაღმასვლის პროცესს, თუმცა ნავთობპროდუქტების იმპორტიორებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და მათ არამც თუ შეამცირეს ფასი, არამედ გაზარდეს კიდეც და ეს კურსის ცვლილებით ახსნეს. მაშინ როდესაც გლობალური ტენდენციები იძლეოდა, ერთი მხრივ ფასების შემცირების, ხოლო კურსის ცვლილების პერიოდისთვის, ფასების შენარჩუნებისა და გაზრდის თავიდან აცილების შესაძლებლობას.



მთავრობის პასუხისმგებლობაა, რომ ის არ რეაგირებს ნავთობკომპანიების კარტელურ გარიგებებზე, რისი საშუალებითაც ეს კომპანიები კოლოსალურ ფასებად ყიდიან ნავთობპროდუქტებს, რაც ისახება სამომხმარებლო ფასებსა და მომსახურებაზე და აუარესებს ქვეყნის ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობას.

გაუგებარია, რატომ ხუჭავს მთავრობა თვალს კომპანიების თვითნებობასა და კარტელურ ქმედებებზე თუ აუცილებელია „იუნისეფმა“ მიგვითითოს კონკრეტულ ბაზარზე არსებულ პრობლემებზეც?! რომ დადგეს დღის წესრიგში საწვავის ბაზრის დარეგულირება. ანალოგიური პრობლემა, სხვადასხვა ბაზრის მიმართულებით, არაერთ ევროპულ ქვეყანასაც ედგა, თუმცა მათმა ანტიმონოპოლიურმა სამსახურებმა ჯეროვნად იმუშავეს და ალაგმეს კარტელი ბაზარზე. სახელმწიფოს კონკურენციის სააგენტოს სახით აქვს ბერკეტი, რათა ბაზარზე არსებული არაჯანსაღი მდგომარეობა გააკონტროლოს, მაგრამ კონკურენციის სააგენტო, ნებსით თუ უნებლიეთ თვალს ხუჭავს ამ 6 კარტელური კომპანიის ქმედებებზე, რომლებიც საკუთარი თამაშის წესებს კარნახობენ მთელს ქვეყანას. აფბა მოუწოდებს მთავრობას, მიიღოს შესაბამისი ზომები ნავთობიმპორტიორი კომპანიების თავგასულობის ასალაგმავად, – აღნიშნულია აფბას განცხადებაში.

აფბამ საწვავის ბაზრის 4-თვიანი კვლევის შედეგები გასულ თვეს წარადგინა, რომლის მიხედვითაც ბაზარზე მნიშვნელოვანი შეუსაბამობები ფიქსირდებოდა. უფრო კონკრეტულად კი, საწვავზე ფასების ზრდა საქართველოში მაისის თვეში დაიწყო, ამის მიზეზად კი მსოფლიო ბაზრებზე ნედლი ნავთობის გაძვირება დასახელდა, ამ მომენტისათვის მართლაც ფიქსირდებოდა ნავთობზე ფასების მცირედი მატება. უფრო კონკრეტულად კი, ამ პერიოდში ნედლი ჭთl ტიპის ნავთობზე ფასი 3 დოლარით გაიზარდა, კომპანიებისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფასები საცალო ქსელში დაუყოვნებლივ დაკორექტირებულიყო და საცალო ქსელში ფასები, მყისიერად გაიზარდა 3-5 თეთრით. მაგრამ ადგილობრივ ბაზარსა და მსოფლიო ტენდენციებს შორის კიდევ მრავალი და უფრო მასშტაბური შეუსაბამობებიც ფიქსირდება, თუ უფრო სიღრმისეულად ჩავშლით მონაცემებს, დავინახავთ, რომ თებერვლის თვეში ბარელის ფასი 59-61 დოლარის ფარგლებში მერყეობდა, ამ პერიოდში საქართველოში ერთი ლიტრი პრემიუმის (95ოქტ) შეძენა 2.29 ლარად იყო შესაძლებელი, ანუ იმაზე ძვირი ღირდა, ვიდრე მაისის თვეში, როდესაც ბარელი 70 დოლარზე იყო ასული.

ამის შემდეგ, ანუ მაისიდან ივნისამდე, ნავთობზე და, შესაბამისად, პლაცსზე ფასების მატება გაგრძელდა, რაც კიდევ რამდენჯერმე გახდა საქართველოში საწვავის გაძვირების მიზეზი. მაგრამ როდესაც მაისის მეორე ნახევრიდან, ივნისის მეორე ნახევრამდე, ანუ ზუსტად ერთი თვის განმავლობაში ნავთობზე გვქონდა ფასზე მკვეთრად დაღმავალი ტრენდი და ბარელის ფასი 64 დოლარამდეც კი დაეცა ეს ცვლილება, უკვე დადებითად არ ასახულა ადგილობრივ ბაზარზე, მეტიც მსოფლიო ბაზარზე დაღმავალი ტრენდის პარალელურად, ჩვენთან საწვავზე ფასები გაიზარდა კიდეც 3-5 თეთრით. მნიშვნელოვანია ასევე, რომ აღნიშნულ 3-თვიან მონაკვეთში, სტაბილურობით ხასიათდებოდა ეროვნული ვალუტის კურსიც და ერთი დოლარის შეძენა საშუალოდ 2.44-2.45 ფარგლებში იყო შესაძლებელი.

კომერსანტი

# რომან გოცირიძე: „ლარს მთავრობა და ეროვნული ბანკი აუფასურებდნენ და ეს ცოდვა ახლაც მათ კისერზეა“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, პარლამენტარი რომან გოცირიძე ბოლო პერიოდში ლარის კურსის გაუფასურებას სოციალურ ქსელში ეხმაურება, „კომერსანტი“ მის მოსაზრებას უცვლელად გთავაზობთ:

ყველას გასაგონად, ვინც დიდ სისულელეს ამბობს, რომ „ლარი იმიტომ გაუფასურდა, რომ თურქეთი ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორია“.

***— რა ხდება, როცა სავაჭრო პარტნიორის ვალუტა უფასურდება?***

— ამ ქვეყანაში წარმოებული საქონელი ჩვენთვის იაფი ხდება (თუ ფასები არ გაიზარდა ვალუტის გაუფასურების გამო). ანუ, ჩვენი ერთი დოლარი ყიდულობს მეტს, ვიდრე მანამდე ყიდულობდა.

***— კარგია ეს თუ ცუდი?***

— კარგი, რა თქმა უნდა. თუ ერთ ქათამს ვყიდულობდი და ახლა ორს ვიყიდი იგივე ფულით, გამოდის, რომ ერთი ქათამი მუქთად მერგო. ან კიდევ, შემომქონდა ქათამი გერმანიიდან და აღმოჩნდა, რომ თურქეთში იგი იაფი გახდა. ბუნებრივია, თურქულს ვიყიდი და ვალუტას დავზოგავ.

***— კარგია თუ არა ეს?***

— კარგი, რა თქმა უნდა. ლარის გამყარებას შეუწყობს ხელს, რადგან ნაკლები რაოდენობის დოლარი გავა ქვეყნიდან. ცუდი რა არის? ის, რომ ერთი ნაჩუქარი ქათამი ადგილობრივ ერთ ქათამს გაყიდვაში შეუშლის ხელს. ეს სინამდვილეში ცუდია თუ არა, ძალიან შორს წაგვიყვანს ამაზე მსჯელობა. ზოგადად, როგორ შეიძლება ციდან ჩამოცვენილი დოვლათი ცუდი იყოს, რომელიც გამდიდრებს? კონკურენციის და ჯანსაღი წარმოების საკითხი კიდევ სხვა თემაა. მიუხედავად ამ მარტივი თეორიული სქემისა, ყველაფერი ასე არ ხდება. მაგალითად, თუ თურქებთან კონტრაქტი დოლარში გაქვს გაფორმებული, რა მნიშვნელობა აქვს კურსის ცვლილებას მოკლე ან საშუალოვადიან პერიოდში (სანამ კონტრაქტი არ შეგიცვლია)?

თურქული ლირის გაუფასურებას უნდა მოჰყვეს საქართველოში იმპორტის ზრდა თურქეთიდან (თუმცა, ეს არაფერს ნიშნავს, თუ ეს მოხდება სხვა ქვეყნებიდან მისი შემცირების ხარჯზე). იმპორტის მატებას და შესაბამისად ქვეყნიდან მეტი ვალუტის გადინებას სჭირდება დიდი დრო — თვეები და წლები.

გუშინ ლირა გაუფასურდა და დღეს თავქუდმოგლეჯილი ყველა თურქეთში გაიქცა საყიდლებზე — არის დიდი სისულელე. ბოლო წლებში, როცა ლარის გაუფასურებას თურქული ლირის გაუფასურებას აბრალებდნენ, არ აღინიშნებოდა იმპორტის არსებითი ზრდა და შესაბამისად ვალუტის იმ ოდენობით გადინება, რომ რაიმე გავლენა მოეხდინა ლარის სტაბილურობაზე. ასე იქნება ახლაც — თურქული იმპორტი უმნიშვნელოდ იმატებს მომავალ პერიოდში.

***— მაშინ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ლირის და ლარის ამჟამინდელ გაუფასურებას ერთმანეთთან?***

— მხოლოდ ფსიქოლოგიური, მოლოდინის ეფექტი. ეს გადაივლის, მაგრამ არსებითი ფაქტორები მაინც დარჩება. რა მოხდა სინამდვილეში? - ლარს გაუფასურება ისედაც უნდა დაეწყო (ამაზე მაშინ ვწერდი, როცა ეროვნულ ბანკს თავი ქუდში ეგონა და მონეტარული პოლიტიკის შერბილება ამაყად გვამცნო სულ ახლახან), - დაემთხვა თურქულ კრიზისს და პროცესი ოდნავ დააჩქარა. თურქული კრიზისი მთავრობას და ეროვნულ ბანკს მოევლინა მხსნელად და მათი მიზეზით გამოწვეული ლარის გაუფასურება ე. წ. საგარეო ფაქტორებს გადააბრალა ტრადიციულად. თურქული ვალუტის გაუფასურებას არ მოუხდენია რაიმე გავლენა არც ახლო და არც შორეულ მეზობლებზე (სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და სხვა). რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ისინი უკეთესად არიან ფსიქოლოგიურად მომზადებულები? არა, უკეთეს საბიუჯეტო და მონეტარულ პოლიტიკას ატარებენ. ლარს მთავრობა და ეროვნული ბანკი აუფასურებდნენ და ახლაც მათ კისერზეა ეს ცოდვა.

**კომერსანტი**

# ფინანსთა სამინისტროს განმარტება საპენსიო სააგენტოს დირექტორის 15 000–ლარიან ხელფასზე




ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, საპენსიო სააგენტოს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ გამარტივებულ კონკურსზე უმაღლესი განათლების მოთხოვნა (ბაკალავრი) „დაგროვებითი პენსიის“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონებმა განსაზღვრა.

საქმე ისაა, რომ ფინანსთა სამინისტრომ რამდენიმე დღის წინ საპენსიო სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე გამარტივებული კონკურსი გამოაცხადა. მოთხოვნებს შორისაა: მინიმალური განათლება — ბაკალავრი, სამუშაო გამოცდილება — 5 წელი, პროფესია: ეკონომიკური, ფინანსები ან ბიზნეს სამართალი.

მინიმალურ მოთხოვნებში მხოლოდ ბაკალავრის ხარისხმა საზოგადოების ნაწილში, განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში ბევრი კითხვა გააჩინა, ამიტომ Bm.ge-მ ივანე მაჭავარიანის უწყებას ორი კითხვით მიმართა: 1. რატომაა მითითებული მინიმალურ მოთხოვნად მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი და 2. რატომ ხელფასი 10.000-15.000 ლარი?

ფინანსთა სამინისტროდან სააგენტოს ასევე წერილობით უპასუხეს:

— კანონმა განსაზღვრა უმაღლესი განათლების მოთხოვნა აღნიშნულ თანამდებობაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კანონის მოთხოვნაა ფინანსურ ინსტიტუტში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, რაც გაცილებით უფრო მაღალი მოთხოვნის კრიტერიუმია და საშუალებას იძლევა აღნიშნულ პოზიციაზე შეირჩეს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრი. თუმცა, განათლების ხარისხის დონე იქნება ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი შერჩევის პროცესში. საპენსიო სააგენტოს დირექტორის უპირველესი პასუხისმგებლობაა, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საპენსიო სააგენტოს ჩამოყალიბება და მართვა, შენატანების ადმინისტრირება და აღრიცხვა, ასევე პენსიის გაცემის უზრუნველყოფა, გარდა ამისა, დაგროვებითი საპენსიო სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია შერჩეული კანდიდატი იყოს შესაფერისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე, ხოლო მისი ანაზღაურება, აღნიშნული კვალიფიკაციის შესაბამისი, — განმარტეს სამინისტროში.

საპენსიო სააგენტოს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული გამარტივებული კონკურსი 15 დღეში დასრულდება.

**ბმ.გე**

# „ლარის კურსის ვარდნა მოლოდინების შედეგია“ — რა კავშირი აქვს ლირის გაუფასურებას ლარის კურსთან



თურქული ლირა დოლარის მიმართ კატასტროფულ ვარდნას განაგრძობს. Bloomberg-ის სავაჭრო პლატფორმაზე ერთი დოლარის ღირებულება უკვე 7 ლირას გადასცდა. ამის პარალელურად უფასურდება ლარიც. ასევე Bloomberg-ის მონაცემებით, ერთი დოლარი უკვე 2.59 ლარად ივაჭრება.

საქართველოს ხელისუფლებაში ლარის გაუფასურებას მთავარი სავაჭრო პარტნიორის, თურქეთის ვალუტის ვარდნას უკავშირებენ. თუმცა ეკონომისტებისა და ფინანსისტების ნაწილი ამ პოზიციას არ იზიარებს და ლარის გაუფასურებას „წინასწარ მოლოდინებსა“ და პროცესებში „ხელოვნურ ჩარევას“ უკავშირებს.

როგორც ეკონომისტი აკაკი ცომაია „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, ქვეყანაში ლარის ამგვარი გაუფასურება ეროვნული ბანკის მიმართ უნდობლობამ გამოიწვია.

მისივე თქმით, ბიზნესწრეებში გაჩნდა მოლოდინი, რომ რადგან მსხვილ სავაჭრო პარტნიორთან ვალუტა უფასურდება, ლარსაც იგივე ბედი ელის, შესაბამისად, სწრაფი ტემპით ლარს „იშორებენ“ და დოლარს ყიდულობენ.

— საქართველოს შემთხვევაში თურქეთი არის ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი, შესაბამისად, როდესაც სავაჭრო პარტნიორებში ვალუტა უფასურდება, ჩვენთანაც იქმნება მოლოდინი, რომ ლარიც უნდა გაუფასურდეს. შემდეგ ეს მოლოდინი ქმნის იმ წინაპირობას, რომ ბიზნესები, ფირმები, მსხვილი იმპორტიორები და ინვესტორები იშორებენ ლარს და ყიდულობენ დოლარს, რადგან ჩვენთან ეროვნული ბანკის მიმართ ნდობა არის ძალიან დაბალი. ახლა სწორედ ეს პროცესი მიდის საქართველოში და ლარის გაუფასურების რეალური მიზეზიც ეს არის, — აცხადებს აკაკი ცომაია.

ლარის გაუფასურებას ასევე „ხელოვნურ პროცესებს“ უკავშირებს ფინანსისტი დავით წიქარიძე. როგორც ის „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, წარმოუდგენელია, მეზობელი ქვეყნის ვალუტის გაუფასურება ასეთი სწრაფი ტემპით მოქმედებდეს ლარზე.

— ლირას გაუფასურება აბსოლუტურად არანაირ კავშირში არ არის ლართან. ასე უცებ ახდენდეს გავლენას, წარმოუდგენელია, რადგან ეს საკმაოდ გრძელვადიანი პროცესია. მიდგომა, რომ მეზობელ ქვეყანაში ვალუტა გაუფასურდა და ჩვენთანაც ამიტომ უფასურდება, ეს არის თვალებში ნაცრის შეყრა და მეტი არაფერი. მეორე საკითხია, რატომ ხდება ეს. მე პირადად ჩამოყალიბებული პოზიცია მაქვს, რომ ეს აბსოლუტურად ხელოვნურად მართული შიდა პროცესებია, თუმცა ვინ დგას ამის უკან, ამაში ნამდვილად არავინ ჩამახედებს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ გაუფასურების არანაირი საფუძველი არ არსებობდა, მაქსიმუმზეა ვალუტის შემოსვლა, ამასთან არაფერი გაყიდულა და არც მნიშვნელოვანი ტრანზაქცია განხორციელებულა, რომ ლარის ამგვარი გაუფასურება მომხდარიყო. აქ რაღაც სხვა რამ ხდება, — აცხადებს დავით წიქარიძე.

განსხვავებული პოზიცია აქვს ეკონომიკის დოქტორს, სტატისტიკოს სოსო არჩვაძეს. მისი თქმით, მთავარი სავაჭრო პარტნიორის ვალუტის გაუფასურება პირდაპირ კავშირშია ეროვნული ვალუტის ვარდნასთან, თუმცა აქ რუსული რუბლიც მონაწილეობს. არჩვაძე აცხადებს, რომ ისეთ პატარა ქვეყნებში როგორიც საქართველოა, საგარეო ფაქტორები უფრო მეტ გავლენას ახდენს ფინანსებსა და ეკონომიკაზე, ვიდრე ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები.

— ლირას გაუფასურება ლარზე პირდაპირ გავლენას ახდენს. თუმცა ამ პროცესში მარტო ლირა არ მონაწილეობს, რუბლიც რეკორდულ ვარდნას განიცდის. მოგეხსენებათ, საგარეო სავაჭრო ბრუნვაში რუსეთისა და თურქეთის ჯამური წილი თითქმის -ს შეადგენს. თურქეთს პირველი ადგილი უკავია ბრუნვაში, ხოლო რუსეთს — ექსპორტში. შესაბამისად, ეს პროცესები ისახება ჩვენზე. მაშინ, როდესაც ლირა თითქმის 40%-ით გაუფასურდა, ერდოღანის მოწოდება, რომ მოიშორონ დოლარები და საქონელი შეიძინონ ლირაში, ეს საქართველოსთვის ნიშნავს, რომ თურქული იაფი საქონელი მოაწყდება საქართველოს შიდა ბაზარს, რაც სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ადგილობრივ მწარმოებლებს. გარდა ამისა, თურქეთში ჩვენი ათასობით თანამემამულეა და ლირის გაუფასურება მათ შემოსავალზეც აისახება, რაც საქართველოში ფულად ტრანზაქციებს შეამცირებს.

ხაზი მინდა გავუსვა კიდევ ერთ ფაქტორს, ივლისში საგარეო სავაჭრო ბალანსში თითქმის 40%-იან დონეს მივაღწიეთ, რაც წინა პერიოდთან შედარებით კარგი მაჩვენებელია. ეს შეიძლებოდა მკვეთად გაუარესებულიყო, ამიტომ, სწორედ ამის ხელშესაშლელად ეროვნული ბანკის ერთადერთი საშუალებაა, ეროვნული ვალუტის მიზანმიმართული დევალვაცია მოახდინოს. ანუ ჩვენ, ფაქტობრივად, ჩათრეული ვართ და ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო, ისე გვიწევს მოქმედება, — აცხადებს სოსო არჩვაძე.

**ბპნ**

# ირაკლი ლექვინაძე: „მთავრობის პრიორიტეტია, ხე-ტყის ნედლეულის მოპოვება და რეალიზაცია კანონით დარეგულირდეს“



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, ხე-ტყის უკანონოდ მომპოვებელ-რეალიზატორთა გამოვლენისა და მათი საქმიანობის აღკვეთის მიზნით, განხორციელებული მასშტაბური ღონისძიებების ფარგლებში, დღეს საგამოძიებო სამსახურის უფროსმა ლევან გამყრელიძემ და ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ, ხე-ტყის ნედლეულის მომპოვებელი და რეალიზატორი საწარმოების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე ისაუბრეს თუ რა ღონისძიებები განხორციელდება მომავალში, რათა კანონის ფარგლებში მოექცეს ხე-ტყის მოპოვებისა და რეალიზაციის სფეროში მომუშავე საწარმოების საქმიანობა. ბიზნესმენები დაინტერესდნენ, როგორი იქნება საამქროების ფუნქციონირების შემდგომი ბედი. მათი თქმით, კომპანიებს დამკვეთებთან აქვთ ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც ვერ ხდება.

ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ აღნიშნა — „მთავრობის მთავარი პრიორიტეტია ხელი შეუწყოს ბიზნესის საქმიანობას, დაარეგულიროს და კანონის ფარგლებში მოაქციოს ხე-ტყის ნედლეულის მოპოვებისა და რეალიზაციის სფერო, რათა ამ მიმართულებით ქვეყანაში არაკონტროლირებადი ბაზარი არ არსებობდეს.“

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსმა ლევან გამყრელიძემ განაცხადა, ამ ეტაპზე შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ქვედანაყოფი ატარებს სახერხი საამქროების ინვენტარიზაციას. ბიზნესის ხელშეწყობისა და დახმარების მიზნით, ხვალიდან, ეტაპობრივად, გაიხსნება ყველა ის რეგისტრირებული სახერხი საამქრო, რომელშიც ინვენტარიზაციის პროცესი დასრულებულია.

**ლევან გამყრელიძემ ასევე აღნიშნა:**

— დაუშვებელია ხე-ტყის მასობრივი უკანონო ჭრები, ასევე არ შეიძლება ლიცენზირებული და გადასახადების გადამხდელი კომპანიები არათანაბარ პირობებში იყვნენ უკანონოდ მოქმედ საწარმოებთან, რომლებიც უკანონო ჭრებს ახორციელებენ და არ იხდიან გადასახადებს. კანონის ფარგლებში მოქმედი საწარმოს საქმიანობა არ შეფერხდება. კანონის წინაშე პასუხისმგებლობა დაეკისრება ყველა იმ პირს, ვინც ხე-ტყის უკანონო ჭრებს ახორციელებს ან ხელს აფარებს დანაშაულს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს მთელი ქვეყნის მასშტაბით ხე-ტყის უკანონოდ მომპოვებელთა, ასევე გაყალბებული საგადასახადო დოკუმენტების გამოყენებით, ხის მასალის რეალიზატორთა და კანონდარღვევით მოქმედი ხის სახერხი საამქროების გამოვლენა-მხილების მიზნით. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ამა წლის 26 ივლისიდან ერთდროულად განხორციელდა იმერეთის, აჭარის, კახეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში.

საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში მოხდა ხე-მასალის გადამამუშავებელი და რეალიზატორი საწარმოების საქმიანობის კანონიერების შემოწმება. გამოვლინდა რეგისტრაციის გარეშე მოქმედი ხის სახერხი საამქროები. საერთო ჯამში, საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ხე-ტყის გადამამუშავებელ 700-ზე მეტ საწარმოში.

გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე, 192-ე, 287-ე პრიმა და 303-ე მუხლებით.

**კომერსანტი**

# 4-ოთახიანი ბინა 5.000 დოლარად

## თანხის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოქალაქის კუთვნილი ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საგამოძიებო სამსახური

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული დაუკავშირდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, მოიპოვა მისი ნდობა და მოტყუებით დაარწმუნა, რომ 5.000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, მაღალი რანგის სხვადასხვა თანამდებობის პირის დახმარებით, საკუთრებაში გადასცემდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, დევნილთათვის განკუთვნილ საცხოვრებელ კორპუსში არსებულ 4-ოთახიან ბინას.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ბრალდებული თანხის ნაწილის – 3.000 აშშ დოლარის აღების ფაქტზე დააკავეს.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

# ერისიონის მომღერალი მეოთხე სართულიდან ჩამოვარდა და დაიღუპა

## 28 წლის ახალგაზრდას თოკი გაუწყდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ე.წ. ზოოვეტის დასახლებაში, 28 წლის მამაკაცი გარდაიცვალა.




არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდას საცხოვრებელი ბინის კარი ჩაეკეტა, სახლში შეღწევა კი მეზობლის აივნიდან ცადა, რის დროსაც მეოთხე სართულიდან ჩამოვარდა და ადგილზე დაიღუპა.

მამაკაცი ანსამბლ „ერისიონში“ მღეროდა.

შსს-ში „ინფო რუსთავს“ განუცხადეს, რომ მომხდარზე გამოძიება სსკ 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# წალენჯიხაში მამაკაცი ტრაქტორის ქვეშ მოყვა და დაიღუპა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვარში 50 წლამდე ასაკის მამაკაცი კარიერზე მუშაობის დროს დაიღუპა.

არსებული ინფორმაციით, ის ტრაქტორის ქვეშ მოყვა.




როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სს კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

# მალხაზ მაჩალიკაშვილი სუსში გამოჰკითხეს

## „ჩემი სიტყვები იყო გამწარებული, შვილმოკლული მამის სიტყვები“

გუშინ, 14 აგვისტოს, ხუთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა მალხაზ მაჩალიკაშვილის გამოკითხვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

მაჩალიკაშვილმა გამოკითხვის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა ჟურნალისტებთან.

მისი თქმით, კონკრეტული კითხვა იყო, რას გულისხმობდა 31 მაისს გაკეთებულ განცხადებაში.

– თემირლანის მკვლელობის დღიდან არის უსამართლო დევნა. კონკრეტული კითხვა იყო, რას ვგულისხმობდი მაშინ ჩემს განცხადებაში. მე ვუპასუხე, რომ ეს იყო გამწარებული, შვილმოკლული მამის სიტყვები. მეორე დღეს მე ეს უკვე არ მახსოვდა, – განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

მალხაზ მაჩალიკაშვილმა 31 მაისს აქციაზე განაცხადა, რომ მას და ასეულობით ადამიანს დაგეგმილი ჰქონდათ სუსში თავის აფეთქება, თუმცა, მოგვიანებით განმარტა, რომ აღნიშნული განცხადება ემოციურ ფონზე გააკეთა.

მალხაზ მაჩალიკაშვილის ადვოკატ ქეთევან ჩუთლაშვილის ინფორმაციით, მაჩალიკაშვილს კითხვები სხვა პირებთან კავშირზეც დაუსვეს.

როგორც ჩუთლაშვილმა ჟურნალისტებს დაკითხვის დასრულების შემდეგ განუცხადა, გამომძიებლები დაინტერესდნენ, თუ ვის გულისხმობდა იმ პირებში, ვისთან ერთადაც, განცხადების თანახმად, სუს-ის შენობაში თავის აფეთქებას გეგმავდა.

ადვოკატის თქმით, მაჩალიკაშვილმა დაკითხვისას დააფიქსირა ის პოზიცია, რაც სუსის შენობაში შესვლამდე ჰქონდა, რომ მის განცხადებაში არავითარი დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები არ ჩანდა.

– კითხვები ძირითადად შეეხებოდა გაკეთებული განცხადების შინაარსს, მალხაზ მაჩალიკაშვილის განზრახვასა და სურვილს. ჩვენ დაკითხვაზე შესვლის წინაც აღვნიშნეთ, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადებაში არავითარი დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები არ ჩანდა და გამოძიების დაწყება, ისევე, როგორც ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დაუსაბუთებელი იყო. ბუნებრივია, ანალოგიური პოზიცია დავაფიქსირეთ დაკითხვის დროსაც. ამ ეტაპისთვის დაკავებასთან ან ბრალის წაყენებასთან დაკავშირებით განმარტება ან რამე შეფასება უწყების მხრიდან არ გაკეთებულა. ასევე დაისვა გარკვეული კითხვები სხვა პირებთან დაკავშირებითაც, თუმცა, ბუნებრივია, არანაირი სხვა პირებთან კავშირი და კომუნიკაცია ამ მხრივ არ არსებობდა, – განაცხადა ქეთევან ჩუთლაშვილმა.



ადვოკატის ინფორმაციით, სუს-ში ამ ეტაპზე მალხაზ მაჩალიკაშვილის მიმართ კითხვები არ აქვთ და მისთვის უცნობია, დაიბარებენ თუ არა მას განმეორებით დაკითხვაზე.

# საგამოძიებო კომისიამ ივანე ნაკაიძე სკაიპით გამოჰკითხა



ბიზნესსექტორში ივანე ნაკაიძის გავლენის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი იყო, გაგვერკვია, რა იყო მისი როლი ხორავას ქუჩის საქმესთან დაკავშირებით.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის წევრმა, „ევროპული საქართველოს“ დეპუტატმა ოთარ კახიძემ განუცხადა. კახიძის ინფორმაციით, დაისვა ყველა კითხვა, რაც ნაკაიძის მიმართ არსებობდა.

– ივანე ნაკაიძე არის ერთ-ერთი მსჯავრდებულის ბიძა. ბიზნესსექტორში მისი გავლენის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი იყო, გაგვერკვია, რა იყო მისი როლი. იგი დეკემბრის პირველ რიცხვებში შს სამინისტროში იმყოფებოდა. მსჯავრდებული გ.ჯ. მისი ვიზიტის შემდგომ გამოცხადდა პოლიციაში.

ამ საკითხის ირგვლივ უამრავი კითხვა არსებობს – დაწყებული იქიდან, სად იმყოფებოდა გ.ჯ. 1 დეკემბრის საღამოდან 4 დეკემბრამდე, ხომ არ იგეგმებოდა ან ხომ არ მომხდარა მისი გადაყვანა საქართველოს ფარგლებს გარეთ, რატომ არ თანამშრომლობდა ის გამოძიებასთან და რატომ არ აძლევდა პოლიციას ინფორმაციას სასამართლოს ბოლო ეტაპამდე.

აგრეთვე დაისვა კითხვები, რომელიც უკავშირდება მოწმეებზე შესაძლო ზეწოლის თაობაზე ინფორმაციას, ასევე მსჯავრდებული ოჯახის შესაძლო კავშირს ბერა ივანიშვილთან და ოთარ ფარცხალაძესთან. ეს იყო კითხვები, რომლებიც საზოგადოებაში არსებობდა და პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ დასვა, რადგან ჩვენი ინტერესია ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება, – განუცხადა ჟურნალისტებს ოთარ კახიძემ ნაკაიძის მოსმენის დასრულების შემდეგ.

ნაკაიძეს, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს, დღეს საგამოძიებო კომისიის წევრებმა დახურულ ფორმატში, „სკაიპით“ მოუსმინეს.

# „დავით გოგნაძე თორნიკე ბერძენიშვილთან დავის მოსაგვარებლად თურქეთში მყოფ კანონიერ ქურდ თენგიზ ხოფერიას დაუკავშირდა“

ქურდული სამყაროს შესახებ კანონმდებლობის გამკაცრებიდან სამ თვეში კანონიერი ქურდისთვის მიმართვის გამო პირველი ბრალდებულები დააკავეს.

გამოძიება სატელეფონო ჩანაწერებს ავრცელებს და ამტკიცებს, რომ მოქალაქეებმა ფინანსური დავის გადასაწყვეტად კამათში კანონიერი ქურდები ჩართეს.

თუმცა, კანონიერი ქურდისთვის მიმართვაში ბრალდებულის ოჯახის წევრი ამტკიცებს, რომ თენგიზ ხოფერია, ვისთან კონტაქტის გამოც ის დასაჯეს, მისი შვილის ბავშვობის მეგობარია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სწორედ მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით დაუკავშირდა დავით გოგნაძე თურქეთში მყოფ ე.წ. კანონიერ ქურდს. საქმის მასალებით, გოგნაძეს ფინანსური დავა თორნიკე ბერძენიშვილთან ჰქონდა. გამოძიების ცნობით, თენგიზ ხოფერიას გარდა, საქმეში მეორე კანონიერი ქურდიც იყო ჩართული, რომელიც ბერძენიშვილის ინტერესებს ლობირებდა, თუმცა საბოლოოდ ე.წ. ქურდულ გარჩევაზე დავა დავით გოგნაძის სასარგებლოდ გადაწყდა.

გამოძიების ინფორმაციით, მიმდინარე წლის მაისის თვიდან დავით გოგნაძეს თენგიზ ხოფერიასთან აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა. საკუთარი პრობლემის მოგვარების შემდეგ, გოგნაძემ ხოფერიას სხვების ფინანსური დავის გადაწყვეტა სთხოვა. სამინისტროს ცნობით, აღნიშნული დავა ხოფერიამ ქურდული გარჩევის გზით განიხილა. გადაწყვეტილების აღსრულებისთვის კი დავაში მონაწილე მხარეები თურქეთში დაიბარა.

თენგიზ ხოფერიას ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს. მას ქურდული სამყაროს წევრობას ედავებიან.

**რუსთავი 2**



# ნარკოტიკის უკანონო გასაღების ბრალდებით ფონიჭალაში 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების ბრალდებით ფონიჭალაში 1 პირი დააკავა. როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1972 წელს დაბადებული ბ.მ., ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების ბრალდებით, ფონიჭალის დასახლებაში დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკებს სისტემატურად ყიდდა. პოლიციის მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია ბ.მ.-ს მიერ გაყიდული ერთი შეკვრა „ჰეროინი“. სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის სათავსოს ჩხრეკისას კი 3 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღეს“, – ნათქვამია განცხადებაში.



შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებას გულისხმობს. ამასთან, დანაშაული 6-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# შსს-მ ნაფეტვრების ტყეში ყაჩაღობის ფაქტზე 2 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოსა და ამბროლაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მიმდინარე წლის 5 ივლისს სოფელ ნაფეტვრების ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე ძებნილი, 1986 წელს დაბადებული ნ.ნ. სოფელ პატარა ონში, ხოლო ვაკე-საბურთალოს რაიონის თანამშრომლებმა ბ.გ. თბილისში დააკავეს. დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.ნ. და ბ.გ. მიმდინარე წლის 5 ივლისს, ღამით, სოფელ ნაფეტვრების მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყის მასივში, თანამზრახველებთან ერთად, დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით, თავს დაესხნენ გ.ს.-სა და მისი დაცვის თანამშრომელს, ნ.ბ.-ს, რა დროსაც ამ უკანასკნელს სხეულზე დაზიანებები მიაყენეს და შემთხვევის ადგილიდან ისე მიიმალნენ, რომ გ.ს.-ს კუთვნილი თანხის დაუფლება ვერ შეძლეს.

პოლიცია, დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დაკავების მიზნით, ინტენსიური სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებებს ახორციელებს.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.



# ტრამპმა ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტს ხელი მოაწერა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი ამერიკულ სამხედრო ბაზა ფორტ-დრამს ესტუმრნენ. ტრამპმა სამხედროების წინაშე სამხედრო ბიუჯეტს ხელი მოაწერა.

აღნიშნული ბიუჯეტი სენატორ მაკეინის აქტიური ძალისხმევით იქნა მიღებული.

ბიუჯეტში თავდაცვისთვის რეკორდული თანხა, 716 მილიარდი დოლარია გამოყოფილი. გათვალისწინებულია აგრეთვე ხარჯები უკრაინის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად და ამ ქვეყნისათვის ლეტალური იარაღის მიწოდებისათვის. ამერიკელებმა უკრაინას 250 მილიონი დოლარი გამოუყვეს.

აღნიშნულ ბიუჯეტს ამერიკელებმა მაკეინის ბიუჯეტი შეარქვეს. მიუხედავად ამისა, სამხედროთა წინაშე გამოსვლისას ტრამპს მაკეინის სახელი ერთხელაც არ უხსენებია.

# ქოჩარიანს პრესკონფერენციაზე აქტივისტები შეუცვივდნენ



რობერტ ქოჩარიანს აქტივისტებმა პრესკონფერენციის ჩატარების საშუალება არ მისცეს. სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი პატიმრობიდან 13 აგვისტოს გაათავისუფლეს, გუშინ, 14 აგვისტოს კი ის მედიასთან შეხვედრას გეგმავდა.

აქტივისტები დარბაზში შეიჭრნენ და ქოჩარიანის ხელახლა დაპატიმრება და უფლებამოსილების შეჩერება მოითხოვეს იმ მოსამართლისთვის, რომელმაც ექსპრეზიდენტის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა. რობერტ ქოჩარიანი ივლისის ბოლოს, 2008 წლის მარტში განვითარებული მოვლენების გამო დააპატიმრეს. მაშინ ხელისუფლებამ ოპოზიციის აქცია ძალის გამოყენებით დაშალა. შეტაკებების დროს კი 8 ადამიანი დაიღუპა. ყოფილ პრეზიდენტს კონსტიტუციური წესრიგის დარღვევა ბრალდება.

# პუტინი ბერლინში ჩავა



ვლადიმერ პუტინი 18 აგვისტოს ბერლინში ჩავა. ამის თაობაზე რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა განაცხადა. მოლაპარაკების ძირითადი თემები რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები, აგრეთვე სირია და უკრაინა იქნება. პუტინი შეეცდება, დაითანხმოს მერკელი, რომ დონბასში მშვიდობის აღდგენის რუსულ სქემას მხარი დაუჭიროს. საუბარია შტაინმაიერის ფორმულაზე, რომლის მიხედვითაც ჯერ დონბასის სტატუსი უნდა განისაზღვროს, შემდეგ კი რეგიონიდან რუსული ფორმირებების გაყვანის და რუსეთ-უკრაინის საღვარზე უკრაინელთა კონტროლის აღდგენის საკითხი გადაწყდეს.

პუტინმა წამოაყენა წინადადება, რომ დონბასში დაუყოვნებლივ ჩატარდეს რეფერენდუმი და მოსახლეობამ რეგიონის სტატუსის საკითხი თავადვე გადაწყვიტოს.

უკრაინელები თვლიან, რომ რეფერენდუმი მხოლოდ რუსული არმიის გაყვანის, საზღვარზე უკრაინელთა კონტროლის აღდგენისა და განაღმვის შემდეგ უნდა გაიმართოს.

# საშინელი კატასტროფა იტალიაში — გენუაში ხიდი ჩაინგრა

## დაიღუპა რამდენიმე ათეული ადამიანი



გუშინ, 14 აგვისტოს, იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ გენუაში საავტომობილო ხიდის ჩანგრევას ათობით ადამიანი ემსხვერპლა.

ადგილზე სამაშველო და სამძებრო ოპერაცია მიმდინარეობდა.

იტალიური მედიის ინფორმაციით, თვითმხილველები აცხადებენ, რომ საავტომობილო ხიდის ჩამონგრევამდე მას მეხი დაეცა. იტალიის შს სამინისტრო 11 ადამიანის დაღუპვას ადასტურებს.

აღნიშნული ხიდი 60-იან წლებში იყო აშენებული. მისი რეკონსტრუქცია კი 2016 წელს ჩატარდა. სოციალურ ქსელებში იტალიელი მომხმარებლები აღნიშნავენ, რომ ხიდი არაერთხელ იყო შეკეთებული.

ინციდენტის ადგილზე იტალიის ტრანსპორტის მინისტრი იმყოფებოდა, რომლის განცხადებითაც, მომხდარი „საზარელი ტრაგედიაა“.

# სირია: ასადი შეტევისთვის ემზადება



თანახმად სირიის ოფიციალური ხელისუფლების განცხადებისა, მზადდება იერიში იდლიბის პროვინციაზე, რომელიც ოპოზიციის უკანასკნელ მსხვილ ანკლავს წარმოადგენს. იდლიბის პროვინციაში ასადმა დამატებითი ძალები უკვე გადაისროლა.

იდლიბთან აფეთქება მოხდა. მას 90 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ვარაუდობენ, რომ ეს აქტი ასადის აგენტურამ განახორციელა.

# ინდონეზიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 436-მდე გაიზარდა

ინდონეზიის, ლომბოკის კუნძულზე მომხდარი მაგნიტუდით 7,0 მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 436-მდე გაიზარდა.

ინფორმაციას „სინჰუა“ ინდონეზიის სტიქიური უბედურებების სალიკვიდაციო ეროვნულ სააგენტოზე დაყრდნობით ავრცელებს.



ამავე ინფორმაციით თანახმად, მიწისძვრის შედეგად 1.353 ადამიანი დაშავდა, 353 ათასმა ადგილობრივმა საკუთარი სახლები დატოვა.

სტიქიის მიერ მიყენებული ზარალი 500 მილიონ დოლარს შეადგენს.

ინდონეზიაში ძლიერი მიწისძვრა 5 აგვისტოს მოხდა, რასაც 543 განმეორებითი ბიძგი მოჰყვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პილოტების გაფიცვის გამო რაინეარმა 400 ფრენა გააუქმა

ირლანდიური დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია რაინეარი იძულებული გახდა, გაეუქმებიანა 400 ავიარეისი, რაც პილოტების გაფიცვით იყო გამოწვეული.

კომპანიის განცხადებით, ფრენები გაუქმდა გერმანიის, ირლანდიის, ბელგიისა და შვედეთის მიმართულებით, რაც დაგეგმილი ფრენების 15%-ს წარმოადგენდა.

პილოტები გაფიცვას აპირებდნენ ჰოლანდიაშიც, თუმცა მათ ქმედებას ავიარეისის გადადება არ გამოუწვევია.

გადადებული ფრენები 76.000 მგზავრს შეეხო. მათი ნაწილი სოციალურ ქსელში წერს, რომ მომხდარის გამო გეგმები აერიათ და დამატებითი რესურსების გაღება მოუწიათ.

მფრინავთა პროფკავშირები, რომელიც გაფიცვის ორგანიზატორი იყო, ითხოვს, რომ რაინეარმა პილოტებთან ხელშეკრულებები გააფორმონ იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქე იქნება ის.

ამჟამად კონტრაქტი მხოლოდ ირლანდიური შრომის კოდექსის მიხედვით ფორმდება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# სერენა უილიამსი: „მშობიარობის შემდეგ ემოციები მამარცხებდა“



ამერიკაში ცინცინატის მასტერსი მიმდინარეობს, სადაც სერენა უილიამსიც მონაწილეობს. ამერიკელმა ქალმა ჩოგბურთელმა პირველ წრეში ავსტრალიელი დარია გავრილოვას დამარცხების შემდეგ (6:1, 6:2), მისი კარიერის აწმყოსა და ჩოგბურთის დედობასთან შეთავსებაზე ისაუბრა.

**სერენა უილიამსი:**

– უიმბლდონის ფინალის წაგების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ჩემი საჩოგბურთო კარიერა თავგადასავალია. ამაში ყოველდღიურად ვრწმუნდები. უკვე ბედნიერი ვარ, რადგან კორტზე დაბრუნება და ჩოგბურთის თამაში ისევ შევძელი.

დასაწყისი ყოველთვის რთულია. როდესაც მშობიარობის შემდეგ სპორტს დავუბრუნდი, ვგრძნობდი, რომ საკმარისი ენერგია არ მქონდა. მშობიარობის შემდეგ ძალიან ბევრი ემოცია გამოვცადე. ისინი მამარცხებდა. ახლა უკვე მათზე საუბარი თავისუფლად შემიძლია, რადგან, დარწმუნებული ვარ, ბევრ ადამიანს მსგავსი რამ გამოცდილი აქვს.

მეორე რაუნდში უილიამსი ჩეხ პეტრა კვიტპოვას დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, სერენა უილიამსი დიდი სლემის ტურნირებში 1999 წლიდან მონაწილეობს, რომელთაგან 23-ჯერ მან გამარჯვება შეძლო, 7-ჯერ კი ფინალში იასპარეზა. წელს სპორტსმენმა უიმბლდონის ფინალში გააღწია, სადაც ანჟელიკ კერბერთან დამარცხდა. 36 წლის ჩოგბურთელი 2008-10 და 2013-17 წლებში მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახლდათ. ის ამჟამად რეიტინგში 26-ე ადგილს იკავებს. ეს იმის ბრალია, რომ რამდენიმე ტურნირის გამოტოვება მოუხდა, რადგან 2017 წლის სექტემბერში გოგონა შეეძინა.

# ევროპაში ქართული წყალში ხტომა მასხრად აიგდეს



ერთხანს ქართულ წყალში მხტომელთა შორის ჭოლა ჭანტურია გამოჩნდა, რომელსაც კარგი შედეგები ჰქონდა პირადში, ხოლო ალექსანდრე გუჯაბიძესთან ერთად ევროპის საუკეთესო ხუთეულში შედიოდა. თუმცა, ეს წყვილი მალევე ჩაიკარგა, ხოლო მათმა მომდევნო თაობამ ჯერ ვერაფრით გაგვახარა, მეტიც, თორნიკე ოქიტაშვილისა და სანდრო მელიქიძის წყვილი შოტლანდიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში საწყალოსნო სპორტის სახეობებში ქილიკის მსხვერპლიც გახდა.

18 წლის წყალში მხტომელმა თორნიკე ონიკაშვილმა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ბოლოსწინა, 27-ე ადგილი დაიკავა და მხოლოდ სანდრო მელიქიძეს აჯობა.

წარუმატებელი გამოდგა ქართველი სპორტსმენების წყვილში ასპარეზობაც. თორნიკე ონიკაშვილისა და სანდრო მელიქიძის გამოსვლას ევროსპორტი გამოეხმაურა და მათი გამოსვლის ვიდეო გაავრცელა, რასაც სოციალურ ქსელში დიდი რეზონანსი და ქილიკი მოჰყვა.

# ხელბურთელთა ნაკრებს ნახევარფინალში გასვლის შანსი დარჩა

საბერძნეთი-საქართველო 24:19

საბერძნეთის ნაკრებმა, რომელსაც აქამდე თბილისში მიმდინარე 18 წლამდე ევროპის ჩემპიონატზე ორივე შეხვედრა წაგებული ჰქონდა, ჩემპიონატის მასპინძლებთან გაორმაგებული მონდომებით ითამაშა და გაიმარჯვა. ბერძნებმა 4-2 დაცვა გამოიყენეს, რამაც ქართველებს სირთულეები შეუქმნა. ანგარიში საქართველოს ნაკრებმა გახსნა, შემდეგ 2:1-საც იგებდა, მაგრამ ეს მხოლოდ მე-4 წუთამდე გაგრძელდა. ამის მერე უპირატესობა საბერძნეთმა იგდო ხელთ და აღარც გაუშვია ხელიდან.

აღსანიშნავია მეორე ტაიმის 8-წუთიანი მონაკვეთი, როდესაც არც ერთ კარში გოლი არ გავიდა. ამ პერიოდში საქართველოს ნაკრებმა 2 პენალტი და რამდენიმე აშკარა შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. შემდეგ მეკარე იური სილაგაძემ გაიტანა 2 გოლი და ქართველებმა ანგარიშის ორამდე შემცირება შეძლეს, მაგრამ მეტი ვეღარაფერი მოახერხეს. უპირატესობა კვლავ ბერძნებმა იგდეს ხელთ.

იტალიამ 32:17 დაამარცხა ფინეთი და ჯგუფს 4 ქულით ლიდერობს.



საქართველო 3 ქულით მეორეა და ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსი აქვს, ოღონდ ამისათვის აუცილებელია მომდევნო მატჩში იტალიის გუნდის დამარცხება.

თუ ასე მოხდა და შემდეგ ბელარუსმა ფინეთი დაამარცხა, მაშინ ნახევარფინალში გასვლა შეგვიძლია ნაადრევად გავინაღდოთ. სხვა შემთხვევაში კიდევ მოგვიწევს ბრძოლა.

## შედეგები

13 აგვისტო

ფეხბურთი

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კიოლნი-უნიონი ........................ 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

პორტიმორენსე-ბოავიშტა ............ 0:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-კრასნოდარი ........................ 0:1

რუბინი-ზენიტი ........................... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ანთალია ........................ 2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოჰემიანსი 1905-ბანიკი ................ 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-სლასკი ........................... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-სონდერიისკე ................ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ნორჩიოპინგი-ჰამარბი .................. 0:0

ტრელებორგი-სუნდსვალდი .......... 1:6

**ნორვეგია. ელიტსერია**

ჰაუგესუნდი-ვალერენგა ............... 1:0

*მოამზადა მაზულ ჟორჟოლიანმა*

# ემერის თამაშს ნაგავი უწოდეს

სტივენ ბურტერნშოუს (1986) შემდეგ უნაი ემერი გახდა ლონდონის არსენალის პირველი მწვრთნელი, რომელმაც პირველი მატჩი წააგო. „მეთოფეები“ მანჩესტერ სიტისთან სახლში, ემირატებზე 0:2 დამარცხნენ. ერთია, მედიისა და სპეციალისტების გულისწყრომა წაგებაზე მეტად არსენალის თამაშის ინერტულმა მანერამ გამოიწვია.



განსაკუთრებით მკაცრი იყო **სემ ელერდაისი:**

– სრული იდიოტობაა უკან ჩადგომა და საჯარიმოდან თამაში. გვარდიოლას ფეხბურთი რა არის? პრესინგი, პრესინგი, პრესინგი. ამ დროს კიდევ უკან იხევ იქ, სადაც ისედაც ზეწოლაა. სუფთა ნაგავი იყო! ხალხი ბოლოს ტაშს არსენალს, მეტოქის ნახევარზე გადასვლისთვის უკრავდა. როდესაც გვარდიოლა ხარ და მოედანზე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გყავს, მაშინ გაქვს იმის ფუფუნების უფლება, რომ მატჩის მიმდინარეობა დაცვიდან აკონტროლო. მაგრამ არსენალი არ არის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი.

**ემი ლოურენსი, გარდიანის ანალიტიკოსი:**

– ვნახეთ, რომ გუნდები რამდენიმე კვირაში არ იცვლება, ეს ისევ ვენგერის არსენალია. გვარდიოლამ დე ბრუინე, სანე და ჟესუსი სკამზე დასვა და მატჩი მაინც კომფორტულად მოიგო.

არადა, არსენალისთვის გასული სატრანსფერო ფანჯარა საკმაოდ პროდუქტიული აღმოჩნდა. 5 ახალი ტრანსფერი გააკეთეს და გუნდის შემადგენლობა, ასე თუ ისე, გააძლიერეს. თუმცა...

ბრიტანულ მედიაში დაიწერა სტატია, სადაც დეტალურად ხსნის არსენალის წარუმატებლობის მიზეზებს.

**1. არასაკმარისი ტრანსფერები და გამოყოფილი თანხა**

უნაი ემერის მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ტრანსფერებისთვის მხოლოდ 70 მილიონი ევრო გამოუყვეს, რა თანხაშიც ესპანელმა სპეციალისტმა მაქსიმუმი გააკეთა და 5 ახალი ფეხბურთელი დაიმატა. თუმცა, აშკარაა, რომ გუნდს, რომელსაც ახალი სისხლი და საკმაოდ ბევრი ტრანსფერი სჭირდებოდა, 70 მილიონი არ ეყოფოდა. ლონდონელებს დაცვის გაძლიერება სჭირდებოდათ, 2 ცენტრალური და ერთი ფლანგის მცველი, თუმცა, ხელმძღვანელობამ მხოლოდ 1 ცენტრალური მცველი იყიდა.

ამასთან, არსენალს მაღალი დონის გარემარბი არ ჰყავს, „მეთოფეებს“ ამ პოზიციაზე მხოლოდ აივობი და დენი უელბეკი ჰყავთ, ამ 2-დან კი,\ მაღალი დონის არც ერთი არ არის.

**2. შეუთამაშებლობა**

ემერის არსენალი, ჯერჯერობით, შეუთამაშებელია. გუნდს 5 ახალწვეული ჰყავს, საიდანაც მინიმუმ 3 ძირითად ფეხბურთელად მოიაზრება. ამასთან, გუნდთან არც ისე შეთამაშებულია პიერ ემერიკ ობამეიანგი, რომელიც მას ზამთარში შეუერთდა. ამაზე ესპანელ სპეციალისტს და მის სამწვრთნელო შტაბს სერიოზული მუშაობა მოუწევთ.

**3. მენტალიტეტი**

არსენალის თითქმის არც ერთ ფეხბურთელს არ აქვს გამარჯვებისთვის საკმარისი მენტალიტეტი. ამის ნათელი მაგალითია მესუთ იოზილი, რომელიც არსენალში გადასვლის შემდეგ სერიოზულ რეგრესს განიცდის და თითქმის არც ერთ საკვანძო მატჩში არ არის მოწოდების სიმაღლეზე. დიდი ალბათობით, მენტალურად მზად არ იქნებიან მატეო გუენდოზი და ლუკას ტორეირა – ორივე მათგანი ძალიან ახალგაზრდაა.

**4. დაცვა და ნახევარდაცვა**

არსენალის დაცვასა და ნახევარდაცვაში სერიოზული გარღვევაა. უკვე მეორე წელია, რეგრესს განიცდის ექტორ ბელერინი. ლონდონში გადმოსვლის შემდეგ ვერც შკოდრან მუსტაფი გამოიყურება, როგორც საჭიროა. ჯერჯერობით შეუფასებელი რჩება სოკრატისი, რადგან მან მხოლოდ პირველი მატჩი ითამაშა. ასევე შეუფასებელია მარცხენა მცველის პოზიცია – ამჟამინდელი მდგომარეობით არსენალს ის არც კი ჰყავს, რადგან სამივე მცველი ლაზარეთშია. დიდი ალბათობით, ამ პოზიციაზე სტეფან ლიხშტაინერი ითამაშებს.

სერიოზული პრობლემაა ნახევარდაცვაც, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მესუთ იოზილისა და გრანიტ ხაკას დუეტი, არც ისე მაღალ დონეზე ირჯება აარონ რემზიც.

# პსჟ-ს ბოატენგი და ერიქსენი სურს



მიუნხენის ბაიერნის ცენტრალური მცველი ჟერომ ბოატენგი ასპარეზობას პარი სენ-ჟერმენის რიგებში განაგრძობს. მსგავსი შინაარსის ინფორმაციას გერმანული გამოცემები აქვეყნებენ. გავრცელებული ცნობით, აღნიშნული გარიგების განხორციელებისათვის მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელობა 50 მილიონი ევროს გადახდას ითხოვს.

ხსენებული სატრანსფერო თანხა მისაღებია პარიზელებისთვისაც, თუმცა, ფინანსური ფეირ-პლეის წესების დაცვის შესაბამისად, მათ ჯერ რომელიმე ფეხბურთელის გაყიდვა მოუწევთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ ყველა საჭირო დოკუმენტაციის გაფორმებას. გერმანული მედიის მტკიცებით, ბაიერნს ერთგვარი სატრანსფერო კომბინაციის გათამაშება სურს.

თუ 29 წლის უკანახაზელი მიუნხენური კლუბის რიგებს დატოვებს, ბაიერნი ბენჟამენ პავარის ტრანსფერს დააჩქარებს. 22 წლის ფეხბურთელის გაფორმება „რეკორდმაისტერს“ 35 მილიონი ევრო დაუჯდება. ესეც იმ შემთხვევაში, თუ პავარი „ალიანც არენის“ ბინადრებს 2019-20 წლის საფეხბურთო სეზონში შეუერთდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბავარიელებს მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში ენდომებათ ახალგაზრდა მცველის აყვანა, მაშინ დამატებით 10-15 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ.

პარიზელებს, გარდა ბოატენგისა, ტოტენჰემ ჰოთსპურის ნახევარმცველი კრისტიან ერიკსენიც სურს. ფრანგული კლუბი, რომელიც დანიის ეროვნული ნაკრების 26 წლის ლიდერის გადაბირებაზე კარგა ხანია ფიქრობს, ამჯერად მზადაა, ტრანსფერზე ლონდონელებს წინადადებით მიმართოს. საუბარია 100 მილიონი გირვანქა სტერლინგის შეთავაზებაზე.

სხვა საქმეა, რომ ტოტენჰემი ერიკსენს იოლად არ შეელევა. ცნობილია, რომ ამჟამად ლონდონური კლუბი ფეხბურთელთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე თათბირობს, შეთანხმება კი პარიზელებს საქმეს კიდევ უფრო გაურთულებს.

ამასთან, ინგლისში სატრანსფერო ფანჯარა უკვე დახურულია და ახლა პრემიერლიგის კლუბებს აგვისტოს ბოლომდე ფეხბურთელების მხოლოდ სხვა ჩემპიონატებში გაყიდვა შეუძლიათ, სადაც ფანჯარა თვის ბოლოს იხურება. ტოტენჰემი პრემიერლიგის ერთადერთი კლუბია, რომელმაც ამ ზაფხულს არავინ დაიმატა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ კი კლუბის მფლობელს მოთამაშეების შენარჩუნება კატეგორიულად მოსთხოვა, რადგან იანვრამდე ველარავის იყიდის.

კრისტიან ერიკსენი ლონდონის ტოტენჰემში ამსტერდამის აიაქსიდან 2013 წელს გადავიდა. დანიელმა ნახევარმცველმა გასულ სეზონში პრემიერლიგის 37 მატჩში ითამაშა, გაიტანა 10 გოლი და შეასრულა 10 საგოლე პასი.

გეტყვით იმასაც, რომ, მანამდე გავრცელებული ინფორმაციით, ერიკსენს მადრიდის რეალი ლუკა მოდრიჩის პოტენციურ შემცვლელად განიხილავდა, რომლის გადაბირებით ინტერი იყო დაინტერესებული.

# ეტოო ფეხბურთს არ ეშვება

სამუელ ეტოო ჩემპიონთა ლიგის ოთხგზის გამარჯვებულია, ამას გარდა, მან სამჯერ ესპანეთისა და ერთხელ იტალიის ჩემპიონატებიც მოიგო, კამერუნის ნაკრებში კი აფრიკის ეროვნებათა თასი ორჯერ აღმართა, ხოლო 2000 წელს სიდნეიში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ამჟამად ეტოო 37 წლისაა და გეგონათ, კამერუნელმა ფეხბურთელმა კარიერა დაასრულა? არა, ბატონებო – ეტოოს ბურთის გორება ჯერ არ მოსწყენია და კიდევაც შეუძლია. ამის დასტურია, რომ საფეხბურთო კლუბ ყატართან კონტრაქტიც გააფორმა.

ყატარში ამავე სახელწოდების კლუბის ხელმძღვანელებმა საზოგადოებას სიხარულით ამცნეს პრესკონფერენციის შესახებ, სადაც კამერუნელის წარდგენა ოფიციალურად მოხდება.

– საფეხბურთო კლუბი ყატარი სიამოვნებით გიწვევთ პრესკონფერენციაზე, სადაც თქვენ დაგხვდებათ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი სამუელ ეტოო, – წერია კლუბის ტვიტერზე.



სამუელ ეტოოსთვის ყატარი მე-13 კლუბია. მანამდე კამერუნელი ფეხბურთელის კარიერაში არსებობდა: რეალი, ლეგანესი, ესპანიოლი, მალიორკა, ბარსელონა, ჩელსი, ინტერი, ევერტონი, სამპდორია, ანჟი, ანთალიასპორი და ქონიასპორი.

ბოლო კლუბი მან ფინანსური პრობლემების გამო დატოვა.

# იუვემ ლიგა ჩაიფიქრა. პრეზიდენტი და მწვრთნელი ერთ აზრზე არიან

ტურინის იუვენტუსის თავკაცი მასიმილიანო ალეგრი მომავალ სეზონს ძალიან ოპტიმისტურად უყურებს. ტურინელთა მწვრთნელი ჩემპიონთა ლიგას ჩაუსაფრდა და, ცხადია, ყველაზე მეტად კრიშტიანუ რონალდუსი ეიმედება.

**მასიმილიანო ალეგრი:**

– ფურცელზე საკმაოდ მრისხანე გუნდი გვყავს, მაგრამ მთავარი არა ეს, არამედ მოედანზე მათი პროდუქტიული მოქმედებებია. გუნდმა სერიოზული ინვესტიციები განახორციელა და ახლა მთავარი თითოეულ მატჩში წარმატების მიღწევაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი აზრს დაკარგავს. ფაქტია, ახლა ჩვენი ამბიციები კონკრეტულად ჩემპიონთა ლიგის მოპოვებასთან დაკავშირებით არნახულად გაიზარდა.

კლუბის მეპატრონე **ანიელის** თქმით კი, თუ აქამდე ლიგა ოცნების თემატიკაში გადიოდა, ახლა კონკრეტული მიზანია:

– რთული წელიწადი გველოდება, თუმცა ზუსტად ახლა არის დრო, გამოვიდეთ ოცნების სფეროდან და საქმეს ხელი რეალურად მოვკიდოთ. ჩემპიონთა ლიგა ჩვენი მთავარი მიზანი უნდა გახდეს, როგორც სკუდეტო და იტალიის



თასი! მოახლოებულ სეზონში ჩვენი მთავარი მიზანი უნდა გახდეს თითოეულ ფრონტზე დომინირება და გამარჯვება. ამ მიზნის რეალიზებისთვის ალეგრიმ და მისმა სამწვრთნელო შტაბმა კარგად იციან, რა უნდა მოიმოქმედონ. სეზონი იქნება ურთულესი და ემოციურად დატვირთული, შესაბამისად, მის დაწყებას მოუთმენლად ველი.

# ლევანდოვსკი გერმანიის სუპერთასის რეკორდსმენი გახდა



2018 წლის გერმანიის სუპერთასის მატჩში მიუნხენის ბაიერნმა ფრანკფურტის აინტრახტი 5:0 გაანადგურა. მატჩის გმირი რობერტ ლევანდოვსკი გახდა. 29 წლის პოლონელმა ფორვარდმა ჰეთ-თრიკი გაიფორმა და გერმანიის სუპერთასის ისტორიაში შევიდა.

ამ 3 ბურთის შემდეგ ლევანდოვსკის გერმანიის სუპერთასის თამაშებში სულ 5 გოლი დაუგროვდა და ტურნირის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ლევანდოვსკიმ ბრემენის ვერდერის ახალზელანდიელი ფორვარდის, ვინტონ რუფერის, მიღწევა (4) გააუმჯობესა და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ რუფერის შემდეგ 3-3 გატანილი ბურთით ბაიერნის შემტევები თომას მიულერი და არიენ რობენი მოდიან.

გეტყვით იმასაც, რომ ლევანდოვსკიმ ამ 5 გოლიდან ერთი 2012 წელს დორტმუნდის ბორუსიის რიგებში თამაშისას სწორედ ბაიერნს გაუტანა, ხოლო კიდევ 1 გოლი წინა წლის სუპერთასზე უკვე დორტმუნდის კარში შეაგდო.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# „ახმეტის ზოგიერთ ბაგა-ბაღში ბავშვებს იატაკზე დაფენილ ლეიბებზე აძინებენ“



საქართველოს სახალხო დამცველმა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს საბავშვო ბაგა-ბაღების კეთილმოწყობის მიზნით დროული და კომპლექსური ღონისძიებების გატარების რეკომენდაციით მიმართა.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოფლების – ქისტაურისა და ზემო ხოდაშენის, ასევე ახმეტის №5 და №6 საბავშვო ბაგა-ბაღებში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა, მოუწესრიგებელია სასწავლო და სააღმზრდელო გარემო, არ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოება, ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

– კერძოდ: ხშირად, ბავშვების საძინებლები განლაგებულია ნესტიან და ავარიულ ოთახებში, სადაც არ არის საკმარისი საწოლები, რის გამოც აღსაზრდელებს იატაკზე დაფენილ ლეიბებსა და სკამებზე აძინებენ;

ბაღებში მოსაწესრიგებელია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა; ბავშვებსა და თანამშრომლებს საერთო საპირფარეშოები აქვთ; ცხელი წყალი მხოლოდ ზამთარში მიეწოდებათ, ძირითადად კი, აღსაზრდელებს ცივი წყლით უხდებათ ხელის დაბანა;

ერთ-ერთ ბაღში ადმინისტრაციამ რამდენჯერმე დააფიქსირა მღრღნელები, ქვეწარმავლები და მწერები. ზოგადად, ეზოების კეთილმოწყობის პრობლემა ყველა ბაღში დგას;

ბავშვებისთვის არ არის მისაწვდომი საკმარისი რაოდენობისა და უსაფრთხო სასწავლო მასალა, ახალი სათამაშოები და თვალსაჩინოებები;

საბავშვო ბაღებში ძირითადად კადრების სიმცირის პრობლემაა და საჭიროებს აღმზრდელებისა და ძიძების შტატების დამატებას;

არასაკმარისია ბავშვების სააღმზრდელო ჯგუფები და რიგ შემთხვევაში, სხვადასხვა ასაკის ბავშვები ერთ ჯგუფში ირიცხებიან, რაც აბრკოლებს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიღებას, – აღნიშნულია სახალხო დამცველის ინფორმაციაში.

სახალხო დამცველის რეკომენდაციით, აუცილებელია, გადაუდებლად განხორციელდეს საბავშვო ბაგა-ბაღების ფიზიკური გარემოს კეთილმოწყობა და მოწესრიგება, სათანადო ინვენტარით აღჭურვა და ადაპტირება ბავშვთა საჭიროებების შესაბამისად.

**თაიმერი**

# ბიზნესმენებო, მიბაძეთ ბატონ მევლუდ მიმინოშვილს, რათა ავაღორძინოთ ქართული ფეხბურთი



მიმინოშვილი ასე იწყებდა

ბატონი მევლუდი არის ეროვნული გენის მატარებელი, მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე პიროვნება, რომელსაც სპორტული სამყარო, ქართველი ხალხი დიდად აფასებს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი 1972-1998წ.წ. მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს ღირსების მედლისა და ღირსების ორდენის კავალერი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის რაინდი, საკავშირო სპორტკომიტეტის ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელი. 2012 წელს აბაშის ცენტრალურ სტადიონს მიენიჭა მევლუდ მიმინოშვილის სახელი. ის არის ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული კაცი, რომელმაც თავისი სახსრებით ავჭალაში ბავშვებს აუშენა ორი სტადიონი. ავჭალისა და გლდანის ბავშვები აგორავებენ ბურთს – აი, ასეთი კაცი უნდა იყოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მაგრამ არავის არ აინტერესებს ფეხბურთის განვითარება. ეს ბიზნესმენები რომ არიან, მათ არ აინტერესებთ ფეხბურთი. 35-ე ისტორიული სკოლა დაშლილ-დანგრეული რომ არის და ის სტადიონი ბაზრად რომ გააკეთეს, ამაზე დიდი სირცხვილი თუ გინახავთ?! პატარა სავარჯიშოები რომ გაუკეთეს ბავშვებს, ბავშვებს სივრცე უნდათ, თქვენ კი, მთავრობა რომ ხართ, მოედნები დანგრეულია, კაცი არ ფიქრობს აღდგენაზე. ავლაბარში სკას სტადიონი იყო. იქ მშენებლობები მიდის, ამდენ სახლებს აშენებთ და ხალხს სახლები არა აქვთ, დიდუბეში საუკუნეა ისტორიული „სუკონკის“ სტადიონი დანგრეულია. მე კი ვიცი, უეფა და ფიფა გრანტებს რომ გიგზავნით, იქ წერია, საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდებს მისცეთ ფორმები, ბურთები და სტადიონის შესაკეთებელი თანხები, მაგრამ ფიქრობს ამაზე ვინმე?! ჩადით, ნახეთ სომხეთში როგორ მონდომებით მუშაობენ ამ სფეროში.

– სუკონკაზე ფეხი ავიდგი, სან-სირომდე მივედი, – იხსენებს ბატონი მევლუდი. აქვე მინდა მოვიხსენიო ჩვენი მეგობარი, უკეთილშობილესი ავთანდილ კოკაია – წესიერი, პატიოსანი კაცი, კარგი და პრინციპული მსაჯი. მეტი რა დავწერო, ჩემო მევლუდ, სიტყვები აღარ მყოფნის. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას გისურვებ შენს დიდ ოჯახთან ერთად. ღმერთმა გვიმრავლოს შენისთანა ღვთისნიერი ადამიანები. ამინ!

**შენი მეგობარი იბო დოლიძე**

# ასტროპროგნოზი

## 15 აგვისტოსთვის



**ვერძი** – ფიზიკური დატვირთვისთვის ეს დღე ძალზე შესაფერისია. აქტიური დასვენება, სუფთა ჰაერზე სეირნობა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ იმოქმედებს. **კურო** – შეცდომები გააანალიზეთ, მოინანიეთ, იზრუნეთ სულიერებაზე. მოთმინებით აღიჭურვეთ და კონფლიქტი თავიდან ასე აირიდეთ. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა, აღსავსე ცდუნებებითა და ფუჭი ილუზიებით. ყოველგვარი რისკი გამორიცხეთ, განსაკუთრებით – კომერციული ოპერაციებისას. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა. საკუთარი პრინციპების დაცვა ნებისმიერ ფასად მოგიწევთ. **ლომი** – ქალაქგარეთ ნუ გახვალთ. პოზიტიური დღეა ოჯახის წევრებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. **ქალწული** – საკუთარი მოვალეობები დიდი ყურადღებით, პირნათლად შეასრულეთ. სხვისი დახმარების იმედი ნუ გექნებათ. **სასწორი** – ნურავის მიენდობით. შესაძლოა მოტყუებული დარჩეთ. დიდია ცრუ დაპირებების ალბათობა. **ღრიანკალი** – გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში ბევრი რამ იცვლება. **მშვილდოსანი** – დიდი მოთმინება და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. ცდუნებას არ აჰყვეთ. **თხის რქა** – კონფლიქტს თავიდან იმ შემთხვევაში აიცილებთ, თუ პარტნიორს ყურადღებით მოუსმენთ და მის აზრს გაითვალისწინებთ. მოსალოდნელია მცირე იმედგაცრუება პირად ცხოვრებაში. **მერწყული** – მცირეოდენი შანსიც კი, რომელიც მოგეცემათ, ხელიდან არ გაუშვათ. დახმარებას ნურავისგან ელით. მიენდეთ საკუთარ ინტუიციას. **თევზები** – იყავით მიზანდასახული და ორგანიზებული. დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ. შვილების წარმატება გაგახარებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ქართული ტელეკომპანია; 2. რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი; 3. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 4. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 5. ფიცხი, ტემპერამენტიანი ადამიანი; 8. ქუჩის მუსიკოსების სახელწოდება საფრანგეთში; 12. კარატისტის ოსტატობის მაჩვენებელი თანრიგი; 13. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 14. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 16. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 18. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 20. ნორვეგიის დედაქალაქი.

**თარაზულად**: 6. ყველაზე წვრილი ფული ინგლისში; 7. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. პოპულარული იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 9. პოპულარული ბაღრესტორანი ძველ თბილისში; 10. სახელმწიფო აფრიკაში; 11. სასჯელი ქურდობისათვის ძველ ქართულ სამართალში; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ჰოლანდიაში; 17. განუხორციელებელი, ოცნება, ფანტაზია; 19. ერთთვლიანი საცირკო ველოსიპედი; 21. რომან „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 22. უნგრეთის დედაქალაქი; 23. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარული ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პუარო; 2. ბისტრო; 4. არიფანა; 5. დნეპრი; 6. კოლორადო; 7. დისკანტი; 10. ბრიზი; 12. გავიალი; 13. პლანეტა; 16. ხეოფსი; 17. გურზუფი; 18. სიგალი; 19. ხოხობი; 21. ღვინო.

**თარაზულად:** 3. პულსაცია; 8. დოკერი; 9. ინტელექტი; 11. ფრანკი; 12. გურონი; 14. დევიზი; 15. ვალმარტი; 20. ლალიძე; 22. ბედუინი; 23. დოკი; 24. ნიკოფსია; 25. ბონი; 26. ჩაფარი; 27. ჯინსი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად;** 1. ლონდონი; 2. კომუნიკე; 3. პიექსი; 4. გაუდა; 5. ცინიკოსი; 8. კერამიკა; 12. აკრი; 13. სათაფლია; 14. პიროგა; 16. კარიესი; 18. ოხორი; 20. მოკო.

**თარაზულად:** 6. სომბრერო; 7. ერისთავი; 8. კეხურა; 9. კონტე; 10. დინამიკა; 11. კლიასერი; 15. ტაქიკარდია; 17. მინდია; 19. გრამაფონი; 21. პლეიბოი; 22. ბატალიორი; 23. კონსული.

# ნუკრიანში თვითნებური რესტავრაციის შედეგად ეკლესია დამახინჯდა



საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე თვითნებური რესტავრაციები მომრავლდა, რაც ეკლესიებს პირვანდელ სახეს სრულიად უკარგავს.

ია თაბაგარმა სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია ნუკრიანთან მდებარე ე.წ. არქეოპოლისთან დაკავშირებით, რომელიც თვითნებური რესტავრაციის შედეგად მთლიანად დამახინჯდა:

– ე.წ. არქეოპოლისია ნუკრიანთან!

თვითნებური რესტავრაციის შედეგად ისტორიული კვალი და არქიტექტურული ღირებულება სრულიად დაკარგულია

# ნინი წიკლაურის სახელით თაღლითები ადამიანებს ფულს სძალავენ



ამერიკაში მცხოვრებმა მომღერალმა ნინი წიკლაურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სოციალურ ქსელში მისი სახელით და გვარით შეიქმნა გვერდი, რომელიც ადამიანებს ფულს სძალავს.

მომღერალმა ეს ინფორმაცია მალევე შეიტყო და გააფრთხილა ინტერნეტმომხმარებლები, არ მოტყუვდნენ და თაღლითებს არ ჩაურიცხონ ფული:

– ხალხნო, ნუ ურიცხავთ ვიღაცას ფულს! არ ვარ მე, არა! ავადმყოფია ვიღაც! დაბლოკეთ! ან დამეხმარეთ, მე როგორ ვქნა ეგ?

# აშშ-ის თავდაცვის აქტის ჩანაწერის მიხედვით, საქართველო მოიაზრება, როგორც მოკავშირე და პარტნიორი ქვეყანა

2019 წლის აშშ-ის ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტის ჩანაწერის მიხედვით, საქართველო, ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში, შავი ზღვისა და ბალტიის ქვეყნებთან ერთად, მოაზრებულია, როგორც აშშ-ის მოკავშირე და პატრნიორი ქვეყანა.

2018 წლის 13 ივლისს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა აშშ-ის ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტს მოაწერა ხელი, რომელიც 2019 წლისათვის აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ბიუჯეტის პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ნიშანდობლივია, რომ აქტის ჩანაწერის მიხედვით, საქართველო, ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში, შავი ზღვისა და ბალტიის ქვეყნებთან ერთად, მოაზრებულია როგორც აშშ-ის მოკავშირე და პარტნიორი.

ჩანაწერის ერთ-ერთი ქვეთავი ევროპაში რუსეთის აგრესიის შეკავებას ეხება.

ქვეთავში აღნიშნულია, რომ ნატო-სთან მჭიდრო კოორდინაციით ევროპაში აშშ-ის მოკავშირეებისა და პარტნიორების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება აშშ-ის ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს და ის ჩრდილოატლანტიკური შეთანხმებით ნაკისრი ურყევი ვალდებულებების შესრულებას ემსახურება, რაც, თავის მხრივ, რუსეთის აგრესიის შეკავების კომპლექსურ სტრატეგიას წარმოადგენს. აღნიშნული ქვეთავი საქართველოსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გზავნილებსაც შეიცავს.

კერძოდ, დოკუმენტში ნათქვამია, რომ ევროპაში აშშ-ის მოკავშირეებისა და პარტნიორების გასაძლიერებლად აშშ-ის თავდაცვის მდივანმა სახელმწიფო მდივანთან და ევროპაში აშშ-ის სარდლობასთან კოორდინაციით ხელი უნდა შეუწყოს საქართველოსთვის უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვანი დახმარების გაწევას, მათ შორის, ლეტალური თავდაცვითი შესაძლებლობებით, რაც გააძლიერებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას და გააუმჯობესებს ნატო-ს ძალებთან თავსებადობას.

ამასთანავე, კანონი მოუწოდებს ადმინისტრაციას, შეიმუშაოს და განახორციელოს უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც ევროპაში აშშ-ის მოკავშირეებისა და პარტნიორების, განსაკუთრებით, რუსული აგრესიისა და საზიანო გავლენის უშუალო სამიზნე ქვეყნების მხარდაჭერას მოიცავს.

დოკუმენტი ასევე ხაზს უსვამს საქართველოსა და უკრაინის მონაწილეობით შავ ზღვაში ნატოს და სხვა მრავალეროვნული ფორმატის წვრთნების ჩატარების სიხშირის, მასშტაბისა და სცენარების გაფართოების მნიშვნელობას.

კანონში დაფიქსირებულია ნატო-ს „ღია კარის“ პოლიტიკის, მათ შორის, საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა. საკანონმდებლო დონეზე საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების თემების გათვალისწინება კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობას აშშ-ის ადმინისტრაციის პოლიტიკურ დღის წესრიგში.

**თაიმერი**

# „დედე“ ამერიკის კინოთეატრებშია



მარიამ ხაჭვანის ფილმი „დედე“ ამერიკის კინოთეატრებშია. ინფორმაცია რეჟისორმა ამის შესახებ თავად გაავრცელა.

14 საერთაშორისო პრიზის მფლობელი ფილმი უკვე აჩვენეს არაერთ კინოფესტივალზე სხვადასხვა ქალაქში, ასევე საბერძნეთის კინოთეატრებში.

შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაწყვიტა, ფილმი ოსკარზე წარადგინოს და ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განაცხადიც შეიტანა.

„დედე“ სვან გოგოზე მოგვითხრობს, რომელიც სიყვარულისთვის იბრძვის და იმარჯვებს კიდეც. „დედეს“ გადაღებები სვანეთში, ყაზბეგსა და კასპში მიმდინარეობდა. ფილმში პერსონაჟები, ძირითადად, სვანურ ენაზე საუბრობენ.

# „შვიდკაცამ“ 20 წლის იუბილე ბლექ სი არენაზე აღნიშნა



ანსამბლმა „შვიდკაცამ“ დაარსებიდან 20 წლის იუბილე ბლექ სი არენაზე გრანდიოზული კონცერტით აღნიშნა.

ანსამბლის წევრებმა კონცერტზე საპატიო სტუმრის სტატუსით 8 „გრემის“ მფლობელი ამერიკული ჯგუფი „თეიქ 6“ მიიწვიეს.

საქართველოში ჩამოსული ჯგუფისთვის ქართველმა მასპინძლებმა ტრადიციულად სუფრა გაშალეს და მათთვის მრავალჟამიერი შეასრულეს. ქართული მრავალხმიანობით აღფრთოვანებულმა უცხოელმა ხელოვანებმა კოლეგებისთვის აპლოდისმენტები და საქებარი სიტყვები არ დაიშურეს.

ბლექ სი არენას სცენაზე ქართველმა და უცხოელმა მომღერლებმა სპეციალური საკონცერტო პროგრამა წარადგინეს. კონცერტის კულმინაცია ყველასთვის ნაცნობი სიმღერა „სულიკო აღმოჩნდა“, რომელიც მომღერლებმა ერთად შეასრულეს და ათასობით დამსწრე მსმენელის აღფრთოვანება და დიდი მოწონება დაიმსახურეს.

# ალექსანდრე თვალჭრელიძე: „სალომე ზურაბიშვილი მოსკოვიდან მოგებული კი არა, მოტყუებული დაბრუნდა“

ექსპერტ ალექსანდრე თვალჭრელიძის შეფასებით, სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა „ქართული ოცნების“ დასასრულის დასაწყისი იქნება. როგორც თვალჭრელიძემ „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში განაცხადა, სალომე ზურაბიშვილმა საკრალური შეცდომა დაუშვა, როცა 2008 წლის ომის გაჩაღება მიხეილ სააკაშვილს დააბრალა.

– თითქოს არ წაეკითხოს პუტინის ინტერვიუ, რომ რუსეთი ომისთვის უკვე 2006 წლიდან ემზადებოდა. სხვათა შორის, ეს რეალობა ხელს აცლის სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო კამპანიის ძირითად პათოსს: რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა მისი დამსახურება არ ყოფილა, რუსეთი საქართველოში თავისი ბაზების არსებობის შემთხვევაში ომს ვერ გააჩაღებდა, ამიტომ სალომე ზურაბიშვილი მოგებული კი არა, მოტყუებული დაბრუნდა მოსკოვიდან. ასეთ ვითარებაში მეეჭვება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სალომე ზურაბიშვილს დაუჭიროს მხარი. ეს დასასრულის დასაწყისი იქნება. პრეზიდენტის კანდიდატურასთან დაკავშირებით დიდი პრობლემაა პარტიაში და არ ვიცი, ამ პრობლემას „ქართული ოცნება“ როგორ გაუმკლავდება, – განაცხადა თვალჭრელიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# სამშვილდის ციტადელში გიორგი III-ის, თამარ მეფის და ლაშა-გიორგის მონეტები აღმოაჩინეს



თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს. სპეციალისტებმა სამშვილდის ციტადელში ძველი მონეტები აღმოაჩინეს. ერთ-ერთი ვერსიით, არტეფაქტი შუა საუკუნეებისაა. აღმოჩენილი 5 მონეტიდან, არქეოლოგების თქმით, სამი გიორგი III-ს, თამარ მეფეს და ლაშა-გიორგის ეკუთვნოდა.

ისტორიული კომპლექსის ნაქალაქარზე სამეცნიერო კვლევა-ძიება 2013 წლიდან მიმდინარეობს და ამ პერიოდში არაერთი საინტერესო აღმოჩენა გაკეთდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# „Deutsche Welle“ (გერმანია): „ქართული მაფიის“ მოქმედების სქემა ესპანეთში — ქართველი „დომუშნიკები“ ბინებს ძარცვავენ, სომხები კი მათ ნადავლ ოქროს ზოდებად ადნობენ და ყიდიან

ესპანეთში ქართველი „კრიმინალური ავტორიტეტების“ დაკავებისა და ევროპაში მოქმედი „ქართული მაფიის“ შესახებ გავლენიანი გერმანული მედიასაშუალება „Deutsche Welle“ სტატიას აქვეყნებს.

გთავაზობთ ვიქტორ ჩერეცკის ავტორობით სტატიის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:

ესპანეთის სპეციალურმა პროკურატურამ ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებში ორშაბათს, 13 აგვისტოს, გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, დაიწყო გამოძიება „რუსული მაფიის“ სამი სავარაუდო ლიდერის წინააღმდეგ. საქმე ეხება ამ თვის დასაწყისში კურორტ მარბელაზე დაპატიმრებულ ქართული და სომხური წარმოშობის პირებს – ლაშა ბარათელს, ირაკლი ფიფიას და არტემ სარქსიანს. ესპანეთის პროკურატურა მათ „კანონიერ ქურდებს“ უწოდებს. როგორც „დოიჩე ველეს“ კორესპონდენტს ამ უწყების წარმომადგენელმა განუცხადა, აღნიშნული პირების დაკავება ესპანეთში „რუსული მაფიის წინააღმდეგ მიმდინარე „ბრძოლის საგაში“ ახალ ფურცელს წარმოადგენს.

„ბრძოლის საგას“ კი საფუძველი 1990-იან წლებში ჩაეყარა, როცა ესპანეთში პირველად გამოჩნდნენ ჟოლოსფერ პიჯაკებში გამოწყობილი ოქროსძეწკვიანი ტატუირებული მამაკაცები. ისინი საბჭოური „რკინის ფარდის“ გაქრობის შემდეგ პირენეიზე დაფუძნებას ცდილობდნენ. მართალია, ყოფილი საბჭოეთიდან ჩასულები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებდათ – ყველა ექს-საბჭოთა რესპუბლიკებიდან იყვნენ. ტრადიციულად, ესპანელები ამ სივრცეს რუსეთს უწოდებენ, ანუ ამით საბჭოურ თუ ეროვნული ტოპონიმიკის ერთგვარ იგნორირებას ახდენენ. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ ესპანეთში „რუსულ მაფიას“ მიაკუთვნებენ არა მხოლოდ იმ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს, რომელთა შემადგენლობაში წარმოშობით რუსები შედიან, არამედ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებისაგან შემდგარ კრიმინალურ დაჯგუფებებსაც.

## მტკვრიდან ესპანეთისაკენ... „რუსული მაფიის“ დაღით

„ესპანეთში „რუსული მაფია“ ყველაზე ფართოდ საქართველოდან წამოსულებითაა წარმოდგენილი“, – ამბობს პროკურატურის წარმომადგენელი. მისი ნათქვამით ირკვევა, რომ ქართული მაფიოზური დაჯგუფებები, რომლებიც მთელ ევროპაში მოქმედებენ, „ესპანეთში განსაკუთრებით აქტიურობენ“. მათ მიერაა ჩადენილი ქვეყანაში ბინების ძარცვის თითქმის 60%. ბოლო წლებში ესპანეთში დაპატიმრებული და გასამართლებულია ასზე მეტი ქართველი ბინის ქურდი („დომუშნიკი“). მათი ლიდერი კახაბერ შუშანაშვილი – ევროპაში მოქმედი ქართველი ქურდების „მაყურებელი“ – ბოლო ხანებამდე მადრიდში ცხოვრობდა. ამჟამად იგი საპყრობილეშია – 16 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.



რაც შეეხება ბოლო დღეებში დაპატიმრებულ პირებს, პროკურატურის მონაცემების თანახმად, ისინი ესპანეთს „კრიმინალური მოქმედების კოორდინირების“ მიზნით ეწვივნენ. საქმე ისაა, რომ 2018 წლის ივნისში ესპანელმა წესრიგის დამცველებმა 129 სომეხი დააკავეს და შესაბამისად, ქართულ-სომხური დანაშაულებრივი კლანების მიერ აწყობილი „ბიზნესი“ დაანგრიეს. სქემა ასეთი იყო: ქართველი „დომუშნიკები“ ესპანელების საცხოვრებელ ბინებს ძარცვავდნენ, მათ მიერ ნაქურდალ იუველირულ ნაწარმს კი სომხები ოქროს ზოდებად ადნობდნენ და „შავ ბაზარზე“ ყიდდნენ.

❖ ❖ ❖

სტატიაში საუბარია აგრეთვე რუსული და ლიტვური დანაშაულებრივი ჯგუფების შესახებ: ჩამოთვლილია რუსი „ავტორიტეტების“ – სერგეი ბუტორინის, გენადი და ანდრეი პეტროვების, ალექსანდრე რომანოვის „საქმენი საგმირონი“. რაც შეეხება ლიტვიდან, ანუ ევროკავშირის ერთი ქვეყნიდან მეორეში – ესპანეთში ჩასულ მაფიოზებს, ისინი დაკავებულნი იყვნენ ფულის გამოძალვით, ესპანურ ბორდელებში ლიტველი გოგონების ჩაყვანით, ავტომობილების გატაცებით და ა.შ. ესპანეთის პროკურატურის მონაცემებით, ლიტველი მაფიოზები განსაკუთრებული ულმობლობით გამოირჩევიან – ისინი აწამებენ როგორც თავიანთ მსხვერპლ ესპანელებს, ასევე ესპანეთში მყოფ თანამემამულეებსაც....

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი — 2.5694

ევრო — 2.9242

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2752

100 რუსული რუბლი — 3.7778

## ამინდის პროგნოზი 15 აგვისტოსთვის




## დელფინი ორცინუსი საკუთარი მკვდარი ნაშიერის სხეულს 17 დღე დაატარებდა



დელფინი ორცინუს ტალეკვა, რომელსაც 24 ივლისს მოუკვდა ახალდაბადებული შვილი, 17 დღე დაცურავდა მასთან ერთად. მას შვილის გვამის გადატანაში სხვა დელფინებიც ეხმარებოდნენ.

ტალეკვა 20 წლის არის და ის წყნარ ოკეანეში ბინადრობს, ამერიკის ვაშინგტონის შტატის რაიონში. 24 ივლისს მეცნიერებმა, რომლებიც ზღვის ძუძუმწოვრებს აკვირდებოდნენ, ნახეს, რომ ტალეკვამ მდედრი ნაშიერი შვა. თავდაპირველად ისე ჩანდა, თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყო: ახალდაბადებული დედასთან ერთად დაცურავდა. მეორე დღეს კი დამკვირვებლებმა ნახეს, რომ ის მკვდარი იყო, დედა კი შვილს ცხვირით აწვებოდა და აცურავებდა.

მსგავსი მოქმედება ჩვეულებრივია დელფინებში, მათ შორის ორცინუსებში, თუმცა, დედები მკვდარ ნაშიერებთან, როგორც წესი, ერთი კვირა დაცურავენ, ტალეკვა კი, 17 დღე არ ემშვიდობებოდა შვილს.

მთელი ამ ხნის მანძილზე, ტალეკვა ჯოგთან ერთად იყო, რომლებიც, ასევე, ეხმარებოდნენ სხეულის გადატანაში. როგორც ვაშინგტონის უნივერსიტეტის ვეშაპთა კვლევის სპეციალისტმა დებრა ჯილსმა თქვა, ტალეკვას საქციელი სხვა არაფრით აიხსნება, თუ არა იმით, რომ ის ძალიან განიცდის შვილის სიკვდილს. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ დელფინის სხეულმა ლპობა დაიწყო, თუმცა დედამ ის 10 აგვისტომდე დაიტოვა. საერთო ჯამში, მათ ერად 1600 კილომეტრი გაცურეს. ორცინუსების ჯოგში სულ 75 დელფინია.

**თაიმერი**

### სპორტი

## მარიო მანჯუკიჩმა სანაკრებო კარიერა დაასრულა

ხორვატიის ნაკრების ლიდერმა მარიო მანჯუკიჩმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. მანჯუკიჩს მიზეზებზე არ უსაუბრია, თუმცა თქვა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იყო:

— ამ საკითხზე დიდი ხანია, ვფიქრობ და ბოლოს გადაწყვეტილება მივიღე, რომელიც ჩემთვის საკმაოდ რთული იყო. მოვიდა დრო, ნაკრებს დავემშვიდობო და აქცენტი საკლუბო კარიერაზე გავაკეთო.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე მანჯუკიჩი ხორვატიის ნაკრებთან ერთად ფინალში გავიდა, სადაც ის საფრანგეთის ნაკრებთან დამარცხდა.

## სალაჰი ლივერპულის პოლიციაში დაიბარეს



ლივერპულის ლიდერი მოჰამედ სალაჰი ლივერპულის პოლიციამ დაიბარა. ამის მიზეზი ის არის, რომ სალაჰი საჭესთან სმარტფონით ხელში დააფიქსირეს, რაც ინგლისში აკრძალულია. სავარაუდოდ, სალაჰს ჯარიმას დააკისრებენ ან შესაძლოა მას დროებით მანქანის მართვის უფლება ჩამოართვან.

თვითონ ფეხბურთელმა ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

მოჰამედ სალაჰი ლივერპულში ერთი წლის წინ გადავიდა და მას შემდეგ ის გუნდის ერთ-ერთი მთავარი ლიდერი და ბომბარდირი გახდა.

## მოდრიჩის აგენტი: „ლუკას იტალიაში სურს თამაში“

ლუკა მოდრიჩის აგენტმა მარკო ნალეტელიჩმა განაცხადა, რომ მის კლიენტს იტალიაში სურს თამაში და ადრე თუ გვიან იტალიურ კლუბში გააგრძელებს კარიერას.

ნალეტელიჩის თქმით, ლუკა ამჟამად რეალის ფეხბურთელია, მაგრამ მალე შეიძლება, ეს შეიცვალოს. თვითონ მოდრიჩი ამ თემაზე საუბარს გაურბის, მაგრამ უკვე ცხადია, რომ მას რეალიდან წასვლა სურს. მოდრიჩის სახელს მილანის ინტერს უკავშირებდნენ, მაგრამ რეალი ჯერჯერობით ლუკას გაყიდვას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულში რეალმა უკვე დაკარგა კრიშტიანუ რონალდუ, რომელიც იუვენტუსში გადაბარგდა.

## დენის ჩერიშევი ვალენსიაში გაანათხოვრეს

ვილიარეალის რუსი ფეხბურთელი დენის ჩერიშევი შემდეგ სეზონს ვალენსიაში გაატარებს, რადგან ის ვილიარეალმა ერთწლიანი იჯარით გაანათხოვრა.

ჩერიშევი 2016 წელს უკვე იყო განათხოვრებული ვალენსიაში, სადაც მან რამდენიმე ლამაზი გოლის გატანა შეძლო. ამის შემდეგ ის 2 წლის განმავლობაში ვილიარეალის ღირსებას იცავდა. წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე დენის ჩერიშევი ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო და მან 4 გოლის გატანა მოახერხა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

მშენებლობის ხელმძღვანელი შემკვეთს ობიექტს აჩვენებს. მიიყვანა დიდ ჭასთან. შემკვეთმა შიგნით ჩაიხედა და ეკითხება:

— კი მაგრამ, ქვევით ნათურა რატომ აყენია?

— როგორ თუ რატომ? ყველაფერი ისეა, როგორც ნახაზებშია. აი, ნახეთ, — უპასუხა და ნახაზები მიაწოდა. შემკვეთმა დახედა და ეუბნება:

— უტვინო! აქ ჭა კი არა, შუქურა უნდა ყოფილიყო.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— რას შვრები, როგორ ცხოვრობ?

— ბუზებს რომ მოეწონებათ, ისე...

●●●

ბიჭი გოგოს ტელეფონზე ეუბნება:

— შეიძლება მოგვიანებით, რომ გადმოგირეკო?

— აუცილებლად, მხოლოდ სხვა ნომერზე.

— რომელ სხვა ნომერზე?

— ნებისმიერ სხვა ნომერზე!

●●●

ცოლი და ქმარი ჩხუბობენ. ქმარი ეუბნება:

— შენ პატარა ძუძუები გაქვს!

ცოლი:

— შენ... შენ კი...

ფიქრობს რაიმე ნაკლი მოუძებნოს: სექსში მაგარია, შემოსავალი დიდი აქვს, ფართოდ ერუდირებულია, უჭკვიანესი მეგობრები ჰყავს, სახეს და მის ფიგურას არაფერი დაეწუნება... ვერაფერი მოიგონა და ბოლოს მიაძახა:

— შენ ცოლს კი პატარა ძუძუები აქვს.

●●●

დაკითხვაზე გამომძიებელი ეჭვმიტანილს ეკითხება:

— აბა მომიყევით, როგორ შეიძინეთ ასეთი შესანიშნავი უნივერსიტეტის დიპლომი?

— გზაზე ვიპოვე!

— თქვენ ამტკიცებთ, რომ გზაზე იპოვეთ თქვენს სახელზე შევსებული დიპლომი?

— დიახ, სწორედ მასე იყო!

— და ასეთ დამთხვევას რითი ახსნით?

— ეს დამთხვევა სულაც არაა. უბრალოდ, პასპორტი ჩემ სახელზე მოგვიანებით ვიყიდე...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**






## კრივში ყოფილ ჩემპიონს შვილზე სექსუალური ძალადობისთვის 20-წლიანი პატიმრობა ემუქრება



ნახევრად საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, არგენტინელ კარლოს ბალდომირს ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება. არგენტინის ქალაქ სანტა ფეს პროკურორი სასამართლოსგან ითხოვს, 47 წლის მოკრივეს 20-წლიანი პატიმრობა მიესაჯოს. მას საკუთარი ქალიშვილის მიმართ სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ.

— გამოძიება ჯერ კიდევ 2016 წლის შემოდგომაზე დაიწყო, როცა პოლიციას განცხადებით მსხვერპლის დედამ მიმართა. ერთი წლის შემდეგ, ბალდომირს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს, — წერს ოხინგშცენე.

ფსიქოლოგები, რომლებიც გოგონასთან მუშაობდნენ, იმ აზრამდე მივიდნენ, რომ მან „ლოგიკური და აზრიანი ისტორია“ მოყვა და ამბავი არ მოუგონია.

გამომძიებლებმა გაარკვიეს, რომ ბალდომირმა ძალადობა ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო, როცა გოგონა 7 წლის იყო.

ბალდომირი კრივიდან 2014 წელს წავიდა.

## 61 წლის ბერლინელი შტაინბერგი მე-15 ცოლმა, 27 წლის შერეზადამ მიატოვა



61 წლის რეინხარდ შტაინბერგს 23 შვილი ჰყავს 15 ქალისგან. პირველად მამა ის 15 წლის ასაკში გახდა, მისი ყველაზე უმცროსი შვილი კი მხოლოდ 16 თვისაა.

რეინხარდის თქმით, ის ყოველთვის ძვირფასი ავტომობილებით გადაადგილდებოდა, ყველაფერს ყოველთვის საკრედიტო ბარათით ანაზღაურებდა და ქალებთან პატიოსნად იქცეოდა.

რამდენიმე კვირის წინ ის მიატოვა მისმა უკანასკნელმა ცოლმა, 27 წლის შეჰერეზადამ და თავის ყოფილ პარტნიორს დაუბრუნდა, რის გამოც რეინხარდი ძალიან განაწყენებულია:

— მე დავეხმარე მას, შეჰერეზადას სერბეთიდან გერმანიაში რომ მოეკიდა ფეხი, მან კი მიმატოვა, მართალია ჩემს ბავშვს ყავს მეურვე, მაგრამ მე მინდა, რომ ჩემს შვილს მე თვითონ ვუპატრონო.

რეინხარდი იხსენებს თავის შვილებს: ტორსტენი უკვე 44 წლისაა, 1974 წელს დაიბადა. მას მოსდევს ჟასმინი, იანი, ბიანკა, ჟაკლინი, ნიკოლი და კატარინა.... მე-20 ბავშვი დაბადებისთანვე, ორი კი საავტომობილო კატასტროფაში გარდაიცვალა. 16 თვის ფერნანდო შეჰერეზადამ წაიყვანა თან, ჩემთან მხოლოდ 13 წლის მანუელია.

— ჩემი ქალებიდან ბევრი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა. მე ყოველთვის თავიდან დაწყებას ვცდილობდი. კმარა უკვე. მე ავიხდინე ჩემი მიზანი და აღარ მინდა მეტი ბავშვი, — ამბობს რეინხარდი.

**აიპრესი**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 2. ტროპიკული მცენარეებისგან მიღებული მუქი ლურჯი ფერის საღებავი; 4. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტრონული ხელსაწყო; 5. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 6. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკის დარგში; 7. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 10. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 12. უძველესი ქართული ცეკვა, რომელიც ახალ წელს სრულდებოდა; 13. საველე-გეოდეზიური სახაზავი მაგიდა; 16. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. ქართველ ქალთა თავსაბურველი; 18. ინდიელთა ტომის ბელადი; 19. ბუნებრივი ნაკრძალი; 21. სწავლების დასრულებული ციკლი.

**თარაზულად**: 3. იუმორისტული საგაზეთო სტატია; 8. სქელი შავი სითხე, შაქრის წარმოების ნარჩენი; 9. უბანი ძველ თბილისში; 11. საზღვაო მოგზაურობა; 12. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი; 14. ჩილელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 15. ფრანგ მწერალ ანრი ბეილის ფსევდონიმი; 20. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 22. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 23. მოხალული ფქვილის გულიანი ნამცხვარი; 24. გეომეტრიული ფიგურა; 25. ქართული სპორტული რადიო; 26. თაღლითი ბანქოს თამაშში; 27. მზის სისტემის პლანეტა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

